პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 224 (19866) ◆ შაბათი, 28 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: ვლადიმერ ჯანიბეკოვი (მარჯვნივ) და გიორგი გრეჩკო დედამიწაზე დაშვების შემდეგ.
საბჭოს-საკავშირის ტელეფოტო.

ბუნება — სიცოცხლის კარი

ბუნება და ლიტონი, წყალი და ენერგია, ტყე და მდელოები ბუნებისაგან ბოძებული უდიდესი სიმდიდრე და ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის წყაროებია, რომლებსაც შედეგი მოვლა-პატრონობა, გაფრთხილება და განვითარება-გამრავლება წაერდება. ყოველი ჩვენგანის კეთილი, მზრუნველი, მხურვალე გული უნდა აქომაგებოდეს ბუნებას, რადგან უიმისოდ შეუძლებელია არსებობა დედამიწაზე.

დედასამშობლო ჩვენი დიდი ოჯახი, ჩვენი დიდი ეზო-კარია და მისი ბუნებრივი სიმდიდრის, რესურსების, წიაღისეულის, ტყისა და წყლის დაცვა, მოვლა, გონივრული გამოყენება ყველას სისხლხორცეულად უნდა აინტერესებდეს. პარტია და მთავრობა უდიდეს პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან გარემოს მოვლა-პატრონობის, გაკეთილმობილებისა და გაჯანსაღებისათვის. ჩვენში სახელმწიფოებრივი მასშტაბის კომპლექსური ღონისძიების განხორციელების მეთხუთმეტ გარემოს დაცვა-სიწმინდის საქმე ნამდვილ ინდუსტრიულ რელსებზეა და ამისათვის ყოველწლიურად ასმილიონობით მანეთი ინარჯება. ასეა ქვეყნის ყველა კუთხეში, ასეა ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დიდი ზრუნვის შედეგად ფარო, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ხორციელდება ქალაქების გამწვანებისათვის, ატმოსფეროს და ზედაპირული წყლების გაჯანსაღების თავიდან აცილებისათვის, ამით არის, რომ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზესტაფონში და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის შედეგად წარმატებებია მოპოვებული. თბილისში ქალაქის გარეთ გატანილია მრავალი ისეთი საქონელწარმოება, რომლებიც აბუჯანებდნენ გარემოს. დიდი სასიკეთო ძვრები მოხდა ზესტაფონში, სადაც წლების მანძილზე ფეროშენადნობთა ქარხნის გამონაბოლქვი აუფარულებდა იქაურობას. საინტერესო და მეცნიერულად დასაბუთებული საქმეებია მიმდინარეობს შავი ზღვის ნაპირების დასაცავად, ძველი პლაჟების შენარჩუნებისა და ახლების წარმოსაქმნელად. რესპუბლიკაში ბევრგან დაინერგა ახალი ტექნოლოგიური პროცესები, საწარმოებში შეიცვალა ღუმლები და დანადგარები, დამონტაჟდა გამონაბოლქვი აირების, მტვრისა და წყლის გამწმენდი მოწყობილობანი. გარემოს გაჯანსაღებისაგან დაცვის აქტუალურ საკითხებზე სისტემატურად მსჯელობენ, პრაქტიკულ ღონისძიებებს ანხორციელებენ პარტიული კომიტეტები, საბჭოების სესიები, აღმასკომები, შედეგი კომისიები.

ამას წინათ შეჯამდა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულად ცნეს ქალაქი ზუგდიდი, საგარეჯოსა და მცხეთის რაიონები. ზუგდიდელებმა შეჯიბრებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება წარმატებით შეასრულეს. აქ 2.100 კუბური მეტრით შემცირდა წყალსატევებში ჩამდინარე წყლის მოცულობა. ასევე შემცირდა დანაკარგები ქალაქის წყალსადენის სისტემაში. აღორძდელთან შედარებით უფრო ეფექტანად მუშაობენ წყალსაწმენდი ნაგებობანი საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდორეწყალ“ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებში. ფაიფურისა და ღვინის ქარხნებში, ლუდისა და ხილის წყლების კომბინატებში მოწესრიგებულია საბრუნავი წყლმომარაგება. დაირეგ 7 ათასზე მეტი მეტრარე. წყალსატევში ჩამდინარე გაჯუჯყიანებული წყლების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა საგარეჯოს რაიონში. აქ დინერგა საბრუნავი წყალმომარაგება რკინაბეტონის ნაწარმისა და პოლიმერული მილების ექსპერიმენტულ ქარხნებში. ამის შედეგად შემცირდა სამრეწველო საბურავებისთვის სასმელი წყლის ხარჯი, ამისათვის, რომ უზრუნველყოფ „წიოელ წიგნში“ შეტანილი ღონეებისა და მეცნიერების იშვიათ სახეობათა დაცვა, საგარეჯოს რაიონსაბჭოს აღმასკომმა კაკაბეთის „შავი ტყე“ ნაკრძალად გამოაცხადა. უფრო მზრუნველობით მიმდინარეობს ტყის აღდგენითი სამუშაოები. შსამ-ქიმიკატებისა და სასუქების ნესის მისვდეთ შენახვა ბევრად გაუმჯობესდა მეხეთის რაიონში. აქ კარგ შედეგებს მიაღწიეს გაჯუჯყიანებული წყლების წყალსატევებში მოხვედრის შესამცირებლად.

ცხადია, ყოველივე ეს კარგია, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, როდი გვაძლევს დამშვიდების უფლებას. როგორც ეს ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, აბოსფეტრული პაერის გაჯუჯყიანების თავიდან აცილების სამუშაოები დამაკმაყოფილებელი არ არის. სათანადოდ არ სრულდება ამ საკითხზე მიღებული დადგენილება. განსაკუთრებით სეოდავენ რუსთაველი და კახეთ ცემენტის ქარხნები, რუსთავის ხიმენ მასალათა კომბინატი, თბილისის სილიკატური საკედელ მასალების კომბინატი, ალვალის, ქუთაისის, ბორჯომის მინის ქარხნები და სხვა საწარმოები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო ამოცანები დაუსახა ამ საწარმოთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, პარტიულ კომიტეტებს, რომლებმაც ყველაფერი უნდა იღონონ დავალებათა შესასრულებლად, აბოსფეტრული პაერის გაჯუჯყიანების თავიდან აცილებლად.

ჩვენი რესპუბლიკის საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს ტყის მასივებს. სულ უფრო ფართოვდება ნარგავების რაოდენობა საბრუნველო ცენტრების, დაბებისა და სოფლების ქუჩებში და მოედნებზე. მარტო მიმდინარე ხუთწლეულის მანძილზე 25 ათას ჰექტარზე გაშენდა ახალი ნარგავები. ბევრი რამ გაკეთდა თბილისისა და რუსთავის, სხვა ინდუსტრიული ცენტრების ეარშემო მწვანე ზონების შესაქმნელად. სულ უფრო იზვეზება ნარგავების დაცვის, მოვლა-პატრონობის ფორმები და მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკურორტო ზონების მიდამოების მწვანე სამოსლის შენახვა-გამრავლებას, კოლეხეთის დაშრობილ მიწებზე ტყის საცავი ზოლების მეცნიერულ საფუძველზე გაშენებას.

ერთი სიტყვით, ახალი ტყეების გაშენებისათვის, ქალაქებისა და სოფლების კიდე უფრო კაშკაშანებისათვის დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ჩვენში. მაგრამ ნაკლი და ხარვეზი ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. ყველაზე უფრო მტკივნეულია დარეულისა და გახარებულის მოვლა-პატრონობის საქმე. ბევრ ცარიელ ადგილებს ვიტაკვეთთ, მაგრამ ნარგავების გაზრდა-განვითარებისათვის ჯეროვნად ვერ ვზრუნაობთ. ბევრი ახლად დარგული და აღმოცენებული მეცნარე ხმება, დაზარჯული თანხები და გაწეული მუშაობა, ნამდვილად რომ, წყალში იყრება. ასეთი ფაქტები არის თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, სხვა საბრუნველო ცენტრებში და სოფლის ადგილებში. ბევრგან უმოქმედოა სარწყავი სისტემები. ასეა თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. აქ დაინგარა და ალარ ვარგა წყალგაყვანილობა, რომლითაც ბაზნები და სხვა ნარგავები ირწყვებოდა. ასეთი მდგომარეობა, სამწუხაროდ, სხვაგანაც არის. ადგილობრივი მეხოვრანელები მაინც ფიქრობენ ბევრს არაფერს აკეთებენ დარეული მეცნარეების მოსავლეთან. ბევრგან გულგრილობას იჩენენ ეზოებში, საცხოვრებელი სახლების წინ, ქუჩებში და მოედნებზე მეცნარეების მოვლის საქმეში. ბევრს რატომღაც ეპონა, თითქოს ეს მხოლოდ სპეციალური სახელმწიფო ორგანიზაციების საქმე და საზრუნავი იყოს. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება საკუთარი თავის ღალატი და მომავალი თაობისადმი გულგრილობის გამოხატულება გახლავთ.

ბუნებას ერთგული ხელი, ფაქიზი და მზრუნველი დამოკიდებულება სჭირდება. მხოლოდ ბუნებისადმი დიდი სიყვარულით შეიძლება შეიღოლო მისგან სიკეთე, სიმუფოროვე და ყოველივე ის, რაც აუცილებელია ადამიანისათვის, მისი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის.

დღეანდელ ნომრში ვაზეთი „კომუნისტი“ მეოთხეელებს სთავაზობს ახალ განყოფილებას ტრადიციული რუბრიკით „ბუნება — სიცოცხლის კარი“. ამ რუბრიკით სისტემატურად გამოქვეყნდება მასალები გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ეკოლოგიური განათლების აქტუალურ პრობლემებზე. ეფიქრობთ, მკითხველები, რესპუბლიკის მშრომელები, სპეციალისტები, პრაქტიკოსები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ პრობლემების გაშუქებაში.

ყოველ ჩვენგანს უპირველეს მოვალეობად უნდა მიაჩნდეს ის, რომ მოუაროს, დაზოგოს, ამრავლოს ბუნებრივი რესურსები, ამ საშეალებაოდ ალმენ გადამუშავება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დამრაზმავი და ხელმძღვანელი. როლი. არ არსებობს იმაზე დიდი და ეკეთილშობილური გრძნობა, ვიდრე იმის ღრმა შეგნება, რომ ყველიფე მამეულ, ხარბედ ნერგს, იცავდე მშობლიურ ბუნებას, ეროვნ ამ ეკეთილშობილური საქმის ერთგული მომამგენი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი, რომელსაც პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ამზადებენ. როგორც სხდომაზე აღინიშნა, წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების ძირითად ტენდენციებს, მომქმედი პროგრამის მიღების შემდეგ გასული დროის მანძილზე პარტიის მიერ შეძენილ გამოცდილებას, ემყარება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებს. ეს საბჭოთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივების, უმაღლესი მიზნის — კომუნიზმის მიღწევის გზებისა და საშუალებების უფრო ზუსტი და კონკრეტული განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა უპირველესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დასკვნას, რომ თანამედროვე საშინაო და საერთაშორისო პირობებში კომუნიზმის გზაა სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე. დასახელდა ფართო მასშტაბით განხორციელდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური განახლება, შექმნილი საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენება, შრომის ნაყოფიერების თანამიმდევრული ზრდა, მართვის მთელი სისტემის სრულყოფა. როგორც პოლიტბიუროს სხდომაზე აღინიშნა, ძირითად მიმართულებათა პროექტში დასახული მიღწევა უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარების, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თვისებრივად ახალ დონეს, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძალიერების შემდგომ განმტკიცებას.

მიღებული გადაწყვეტილება პოლიტბიუროს მიერ განხილული დოკუმენტები შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის განსახილველად.

პოლიტბიურომ მოიწონა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვისა და ჩვენს ქვეყანაში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად მყოფი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივნის ი. კადარის საუბრის შედეგები. ამ საუბრის დროს, რომელმაც ცხადყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის შეხედულებათა ერთიანობა თანამედროვეობის ყველა ძირითად საკითხში, დადასტურდა, რომ ორ პარტიას გადაწყვეტილი აქვს კვლავაც განამტკიცებდეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძმურ მეგობრობასა და ყოველმხრივ თანამშრომლობას მარქსზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით. პოლიტბიურომ ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროში ჩვენი ოთახმშრომლობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაციის რეზერვების უფრო სრული გამოყენების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთმოქმედების შესახებ მიღწეულ მორიგებებს.

პოლიტბიურომ განიხილა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მ. კოივისტოს შეხვედრის შედეგები და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრის დროს მხარეთა იმ განზრახვის დადასტურებას, რომ კვლავაც დაიცვან და განამტკიცონ მეგობრობა და ურთიერთნდობა, თანამიმდევრულად განახორციელონ სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წელს დადებული ხელშეკრულების დებულებანი. ომის საფრთხის აღმოფხვრის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების საკითხებისადმი ორი ქვეყნის ერთნაირი მიდგომა ხელს უწყობს შემობრუნების ევროპაში და მთლიანად მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისაკენ, ქვეყნებისა და ხალხების საქმიანი თანამშრომლობის მოგვარებისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მიიღეს ავრეთვე გადაწყვეტილებანი პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების სხვა საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მწვრინავის ამხ. ვ. ა. ჯანიბეკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისათვის და ამასთან გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომეიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 26 სექტემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მწვრინავის ამხ. გ. მ. გრეჩკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-7“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისათვის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. გიორგი მიხეილის ძე გრეჩკო დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომეიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 26 სექტემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ნ. ი. რიჟკოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომეიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1985 წლის 27 სექტემბერი.

ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი დაიბადა 1929 წელს, რუსეთ, სკკპ წევრია 1956 წლიდან. დამთავრებული აქვს ურალის ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა 1950 წელს დაიწყო ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის ცალის ოსტატად, იყო უბნის უფროსი, საამქროს უფროსი, მთავარი შემდუღებელი, დირექტორის მოადგილე, ხოლო 1965 წლიდან — მთავარი ინჟინერი. 1970 წლიდან ნ. ი. რიჟკოვი ამავე ქარხნის დირექტორია, ხოლო შემდეგ — საწარმოო გაერთიანება „ურალმანქანის“ გენერალური დირექტორი.

1975 წელს დაინიშნა მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო 1979 წელს — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ნ. ი. რიჟკოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამავე დროს იგი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ნ. ი. რიჟკოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი 1981 წლიდან იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს (მე-9—11 მოწვევათა) და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ნ. ი. რიჟკოვი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

27 სექტემბერს კრემლში ამხანაგ ა. ა. გრომეიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

ამხანაგმა ა. ა. გრომეიკომ წაიკითხა განცხადება, რომლითაც სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვმა. განცხადებაში ნათქვამია: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს.

ძვირფასო მიხეილ სერგის ძეგ! ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გამოიარეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ექიმთა კონსულიუმი დაქინებით სვამს საკითხს, რომ შეეწყვიტო აქტიური მუშაობა და, მაშასადამე, გავიდე პენსიაზე.

ძალიან მიჭირს მოგმართოთ ასეთი თხოვნით, მაგრამ ძალიანაც ეს ვარ გთხოვოთ თქვენ, მიხეილ სერგის ძეგ, ვთხოვო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს — გადამაწყვეტოთ პენსიაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

უსაზღვროდ მადლობელი ვარ შშობლიური კომენისტური პარტიისა ყოველივე იმისათვის, რაც მან გამიკეთა. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის თბილი, ამხანაგური ეთიკარება, რომელიც ამ ბოლო დროს შეიქმნა პოლიტბიუროში, ნეტავ კიდევ შემძლებოდა მეშაობა.

აღვუთქვამ ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, აღვთქვამთ პირადად თქვენ, მიხეილ სერგის ძეგ, რომ მზად ვარ კვლავაც შეძლებისდაგვარად შევასრულო დავალებები, რომლებსაც დამაკისრებთ. გმადლობთ ყველაფრისათვის. ნ. ტიხონოვი“.

განიხილა რა ეს განცხადება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ამხანაგმა ნ. ა. ტიხონოვმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მართვის საქმეში, დიდი ღვაწლი მოუძღვის პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე. მიღებულია გადაწყვეტილება დაკმაყოფილდეს ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის თხოვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვის საკითხი. ამ საკითხზე წინადადებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი მ. ს. გორბაჩოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით, მან შეიტანა წინადადება დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგი ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ წინადადებას და მიიღო გადაწყვეტილება დაინიშნოს ამხანაგი ნ. ი. რიჟკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ნ. ი. რიჟკოვმა გულითადად მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დიდი პატივისცემისა და ალუთქვა, რომ არ დაიშურებს ძალ-ონისგან და ცოდნას, იმისათვის, რომ გაამართლოს პარტიისა და ხალხის დიდი ნდობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გორკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. სხდომაზე მოხსენება გააკეთა გორკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. სემენოვმა. მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გორკის საქალაქო ტრესტი „ბორეცის“ ტურბინისტის ნ. ა. ბუნინის ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ხალხის მომზადების მოწინავე დეპუტატთა სახელით გამოვიდა.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ა. ორლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი და საწარმოო გაერთიანება „ზელენოგრადშენის“ პრიგადირი ნ. ა. ზლობინი.

იმსჯელეს საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის ღონეების სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. მოისმინეს ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ს. ბარკოუსკასის მოხსენება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ლიტვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახრაიონესადგურის დირექტორის ბ. მ. ნორეიკას ინფორმაცია.

კამათში გამოვიდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები — უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. უ. სალიმოვი და მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. პ. კალინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, თაორეთის სოციალ ეკონომიკის პირველი მდივანი გ. ი. უსმანოვი.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ ავრეთვე ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ფ. ა. ტუნაევი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ვ. მ. ჩებრიკოვი და ვ. ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი, რომლებიც ბრესაში გამოქვეყნდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ავრეთვე სახელმწიფოს ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი. (საადელი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომეიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1985 წლის 27 სექტემბერი.

პარტიის კავშირი მასებთან

გამოვიდა მეოთხე ტომი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების მიერ მოშზადებული ოთხტომეულისა „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობეს. შესახებ“.

იგი დასათაურებულია „მასებთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირის განმტკიცება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა“ და შეიცავს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტებს, რომლებშიც წარმოჩენილია პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, საქმიანობა, განსაზღვრულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მთავარი მიმართულებები, პრინციპები, ფორმები და მეთოდები.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საადელი).

მიფრინავენ „კოსმოს-1685“ და „კოსმოს-1686“

1985 წლის 26 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1685“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საყოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად, 1985 წლის 27 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1686“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საყოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

„კოსმოს-1686“ თანამგზავრი თავისი კონსტრუქციით ანალოგიურია „კოსმოს-1267“ და „კოსმოს-1443“ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა, რომელთა გამოცდა მოეწყო 1981-1983 წლებში სხვადასხვა რეჟიმში და „სალუტ-6“ და „სალუტ-7“ ორბიტულ სადგურებთან ერთობლივი ფრენის დროს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „კოსმოს-1686“ თანამგზავრის საორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. (საადელი).

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲜᲘ

ᲓᲘᲚᲛᲘᲡ მასივში, მეგობრობის პროსპექტზე, სხვა ნაგებობათაგან გამორჩეულად დგას მრავალსართულიანი შენობა—თბილისის წიგნის ფაბრიკა, რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი საწარმო.

თითქოს სიმბოლურია, რომ პროსპექტის მეორე მხრიდან შენობას გასცქერის პოეტი—ტრიბუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი, იგი გასცქერის იმ შენობას, სადაც მხატვრული სიტყვის ოსტატთა ათასობით წიგნი ისტამბება. ამ დიდ და საპატიო საქმეს წიგნის ფაბრიკის 700-მდე მუშაკი ემსახურება. დილიდან გვიან ღამემდე ასოთამწყობთა მოქნილი თითები „ასო-ასოდ ჰკენკავენ" ტექსტს ორიგინალიდან, შემდეგ მბეჭდავები ანაწყობი ფორმებიდან ათი ათასობით ქაღალდის ფურცლებად გაამრავლებენ, ოფსეტური ბეჭდვის საამქროში ფერად-ფერადი სურათებით სავსე საწიგნე ფურცლებსა და ეტიკეტებს ჩამობეჭდავენ; ყველა ამ ნამუშევარს, საბოლოოდ, წიგნის სახის მისაცემად მკინძავების ოსტატური ხელის შევლება სჭირდება. მათს მონდომებაზე, კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული წიგნის სიკოხტავე და ხარისხი.

თბილისის წიგნის ფაბრიკაში წიგნის დასტამბვის საქმეს პროფტექნიკური სასწავლებლების ასობით აღზრდილი ემსახურება. ფაბრიკის მეზობლად პოლიგრაფიული სასწავლებელია. ეს მეზობლობა შემთხვევითი როდია, როცა № 111 პროფტექნიკური სასწავლებლის ასაშენებლად ტერიტორიას ეძებდნენ, შორს წასვლა არ დასჭირვებიათ —სასწავლებლის ბაზად წიგნის ფაბრიკაზე უკეთესს რას შეარჩევდნენ. სკოლა ხომ ასოთამწყობებს, ოფსეტური და მაღალი ბეჭდვის მბეჭდავებს, მკინძავებს ამზადებს, იმათ, ვისაც წიგნის ფაბრიკის საიმედო ცვლა ეწოდება, იმათ, ვინც საუკეთესოდ უნდა შეისწავლოს წიგნის დასტამბვის ხელობა, რათა მკითხველმა, მათ ნახელავ წიგნს რომ ხელში აიღებს, ესთეტიკური სიამოვნება წაკითხვამდეც განიცადოს.

ამ მიზნის მიღწევა კი წიგნის ფაბრიკისა და №111 პროფტექნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელთა მტკიცე, საქმიანმა ურთიერთობამ განაპირობა. ამ ურთიერთთანამშრომლობას კარგი ტრადიციები აქვს, მოქმედებს თანამშრომლობის ერთიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლებას, სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით მრავალი ღონისძიების განხორციელებას.

№111 სასწავლებლის აღსაზრდელები საწარმოო პრაქტიკას ფაბრიკის საამქროებში გადიან. წარმოების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებიცა და გამოცდილი მესტამბეებიც თვალყურს ადევნებენ მათ შრომას და დაუზარებლად უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. მოსწავლეებს შეფობას უწევს წიგნის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტიც. ამოწმებენ გაკვეთილებზე მათს დასწრებასა და აკადემიურ წარმატებას, ფაბრიკის მოწინავე მუშა-კომკავშირელები აღმზრდელობითს საუბრებს უტარებენ მათ. შესრულებულ სამუშაოს ფაბრიკიდან ხშირად სასწავლებლის საამქროებში ვაწვდით, რითაც მომავალ პოლიგრაფისტებს საშუალებას ვაძლევთ თავიანთი წვლილი შეიტანონ შრომის საერთო ფერხულში.

ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ — ᲡᲐᲑᲐᲖᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

მეთერთმეტე წელია, რაც თბილისის წიგნის ფაბრიკა ამუშავდა. ის სხვა პოლიგრაფიულ საწარმოებზე ახალგაზრდაა. მაგრამ მის კედლებში მაინც შეხვდებით პოლიგრაფიული სასწავლებლების „უხუცეს" კურსდამთავრებულებს.

1955 წელს დაამთავრეს პოლიგრაფიული პროფტექნიკური სასწავლებელი მერი და ფირუზ მამულაშვილებმა. ისინი შემდეგში შეუღლდნენ, ფირუზმა დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი და დღეს ფაბრიკის საამწყობო საამქროს უფროსია, ხოლო მერი ურთულესი ტექსტების საუკეთესო ხელით ასოთამწყობია.

1955 წელს აქვს დამთავრებული სასწავლებელი მკინძავ მერი მულაძესაც.

წიგნის სასწავლო და საგამოფენო ეგზემპლარები ფაბრიკაში ცალკე უბანში მზადდება. განსაკუთრებული გულმოდგინებითა და ოსტატობით, პროფესიის სიყვარულით უძღვება ამ საქმეს ნუნუ ცურტანიძე, რომელმაც ეს სასწავლებელი 1963 წელს დაამთავრა.

1974 წელს მოვიდა ზინა ზაზიროვა პროფტექნიკური სასწავლებლიდან ფაბრიკაში სამუშაოდ. შემდეგ მან მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა წიგნის ფაბრიკაში შრომისა და ხელფასის განყოფილების ინჟინერ-ეკონომისტად მუშაობს. ამათ გარდა კიდევ მრავლის ჩამოთვლა შეიძლება.

წლების განმავლობაში უჭირდათ წარმოებაში მიღებულ კურსდამთავრებულთა შენარჩუნება უბინაობისა და ქალაქში ჩაწერის სირთულის გამო. რამდენიმე წელია, ფაბრიკის ეზოში აშენდა 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის სამი სართული ქალთა საერთო საცხოვრებლად გამოიყო. ამან საგრძნობლად გააუმჯობესა ფაბრიკის მუშათა შრომისა და ცხოვრების პირობები.

კვლავაც ბევრი სასიკეთო საქმეა გასაკეთებელი ფაბრიკისა და № 111 პროფტექნიკური სასწავლებლის ურთიერთობაში. დაწყებული კარგი ტრადიცია გრძელდება, რასაც იმედია, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლებლის ახლად დაარსებული მრავალტირაჟიანი გაზეთიც.

ლ. ჩხაიძე,
თბილისის წიგნის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲒᲐ ხანია დაიწყო ახალი სასწავლო წელი — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფტექნიკური სკოლის რეფორმის განხორციელების მეორე წელი. დიდი ამოცანების წინაშე დგას სართიჭალის № 85 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი. იგი სამშობლოს ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს, ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტებს, ავტომობილის მძღოლებს, მელიორატორებს და მეფრინველე პრეპარატორებს უმზადებს.

სასწავლებელმა არსებობის 10 წლის მანძილზე 3000-ზე მეტი სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აღზარდა. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მან რვაჯერ მოიპოვა საპრიზო ადგილი, ხოლო სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების საკავშირო სოცშეჯიბრებაში ერთხელ მეორე ადგილიც დაიკავა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტების ჯგუფის საწარმოო სწავლების ოსტატი ელისო გედეხაური, მოსწავლეები ლაურა ხურიაშვილი და ლალი ფოცხვერაშვილი მეცადინეობის დროს; წარჩინებული მოსწავლე მერი ლურსმანაშვილი; ტრაქტორისტ-მემანქანის სპეციალობის ჯგუფის მოსწავლეებს ესაუბრება საწარმოო სწავლების ოსტატი ილო ბურდული.

ვ. გენგიურის ტექსტი და ფოტო.

ᲘᲧᲐᲚᲗᲝᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ

ᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში კარგად იციან ერთი გლეხის არაკი, ქვის სახლს რომ აშენებდა. „რატომ აგურისას არ იშენებო? — ჰკითხეს, — უფრო ლამაზი იქნებოდა". „ვიცი, მაგრამ აგური მარტო რვაას წელსა სძლებსო", — უპასუხა მან. თავისი სიცოცხლის ფარგლებს გარეთ ცხოვრების დანახვა ჩვენი, გამოცდილებით დაბრძენებული მოხუცების დამახასიათებელი თვისებაა. ასევე ახასიათებდა ეს თვისება ნიკო პაპალაშვილს, იყალთოელ „ასი წლის ჭაბუკს". განა სწორედ მას არ უნდა ვუმადლოდეთ იმ აკადემიის აღდგენას, სადაც, როგორც ხალხი ამბობს, რვაასი წლის წინათ უსწავლია შოთა რუსთაველს.

მაგრამ ჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ამ ცოტა ხნის წინათ ბევრმა არც კი იცოდა კახეთის მთებში შეყუჟული იყალთოს არსებობა. ან რა გასაკვირია. რამდენი ამისთანა სოფელია ჩვენს ქვეყანაში. ცოტა რომ შევცვალოთ ერთი პოეტის ცნობილი სიტყვები, შეგვეძლია ვთქვათ: გენერალურ რუკაზე იყალთო ყველთვის როდია მრგვალად შემოწერილი. პატარა სოფელია. კოლმეურნეობაც სუსტი ჰქონდა. ახალგაზრდობა სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩვეულებრივ, ქალაქს მიაშურებდა ხოლმე.

მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, გახურებული საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დროს, მართალია, რამდენიმე დღით, ქალიშვილები და ჭაბუკები, მათი მოზრდილი თანასოფლელები მაინც ბრუნდებოდნენ ხოლმე მშობლიურ იყალთოში... ამაღლების დღეობაზე, რომელიც, რატომღაც, დიდ პატივში იყო ქართველთა შორის. ამ დღეობაში მონაწილეობისათვის იყალთოელებთან ერთად საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ. ზოგჯერ დღეობა მთელ კვირას გრძელდებოდა ხოლმე. ღვინო ზღვად იღვრებოდა.. სადაც ლოთობაა, იქ კი აყალმაყალიც ხდება.

და აი, ამ ოციოდე წლის წინათ კომკავშირელებმა გადაწყვიტეს ბრძოლა გამოეცხადებინათ ამ ტრადიციისათვის. ახალგაზრდობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი კომუნისტებმა, სახალხო დეპუტატებმა, სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელობამ. მაგრამ სათქმელად იოლია, ბრძოლა გამოუცხადესო. მერე, რა დაუპირისპირებინათ ამ ტკბილი საღვთო გალობისა და საქეიფო სუფრისათვის? თანამედროვე სიმღერის დღესასწაული? ახალგაზრდული ფესტივალი? ინტერესების მიხედვით შექმნილი კლუბი?

ჩვენში ასეა მიღებული, სანამ ჩანაფიქრს ხორცს შეასხამდნენ, ახალგაზრდები მოხუცებს მოეთათბირებიან ხოლმე. როცა ნიკო პაპალაშვილს ჰკითხეს, რა ექნათ, როგორ მოვიქცეთო, იგი ყველა მათ წინადადებას დაეთანხმა: დღესასწაულზე სიმღერებს რა სჯობსო, ფესტივალიც კარგია, კლუბებიც — ყველაფერი კარგიაო... მაგრამ უკეთესი იქნება, თუ აღვადგენთ აკადემიას, სადაც XII საუკუნეში რუსთაველი სწავლობდაო. „აკადემია აღვადგინოთ? — ჩაუფიქრდნენ კომკავშირელები.— მაგრამ როგორ? იგი ხომ მრავალი საუკუნის წინათ გაძარცვეს და დაანგრიეს დამპყრობლებმა. ნანგრევები და ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ლეგენდებიღა დარჩა".

იოლი საქმე არ იყო. მაგრამ აი, 1963 წელს შუა საუკუნეების აკადემიის ადგილას, ეგრეთ წოდებულ „მწვანე აუდიტორიაში", სადაც, თქმულების თანახმად, სიტყვიერების კათედრა იყო, სახალხო უნივერსიტეტი გაიხსნა. ახლა, ოცი წლის შემდეგ, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ: ის სწორი ნაბიჯი იყო. სახალხო უნივერსიტეტი ყველას მოეწონა: ახალგაზრდებსაც, მოწიფულებსაც, ხანდაზმულებსაც. იგი მუშაობის ის ფორმა აღმოჩნდა, რომელმაც მალე არა მარტო დაჩრდილა ოდესღაც განთქმული დღეობა, არამედ ამასთანავე ჩინებულად, გონივრულად გადაჭრა ჯანსაღი, სრულფასოვანი დასვენებისა და იყალთოელთა კომუნისტური აღზრდის ბევრი პრობლემაც.

ჩვენი უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, ბევრად სჯობს ჩვეულებრივ სამოყვარულო გაერთიანებასა თუ ინტერესების მიხედვით შექმნილ კლუბს. ყოველთვის, მორიგი სასწავლო წლის დაწყების წინ, ანკეტირების მეშვეობით ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს, შემდეგ მის საფუძველზე ვადგენთ სასწავლო გეგმას. ორ სასწავლო წელს ვერ ნახავთ, რომ ერთმანეთს ჰგავდეს. უნივერსიტეტის პროგრამა აკმაყოფილებს მოსახლეობის ყველა ფენის, იყალთოელთა ყველა თაობის ინტერესებს. ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია გადაფურცლოთ თუნდაც მისი ღონისძიებების აფიშები: „იყალთოს საღამოები", „ვინ უფრო ღონიერი და მკვირცხლია!", „შეხვედრები ისტორიულ ძეგლებთან", „მოვუსმინოთ ექიმს", „კანონი და ადამიანები", „ტრადიციები და თანამედროვეობა".

ჩვენებურებზე, კახელებზე ამბობენ, დინჯი, დარბაისელი ხალხია, ემოციების გამომჟღავნება არ უყვართო, მაგრამ, აბა, დაესწარით ჩვენი უნივერსიტეტის სასემინარო მეცადინეობას, დისკუსიებს, დისპუტებს, ზეპირ ჟურნალებს, და თვითონ დარწმუნდებით: ასეთ მოსაუბრეებს ქვეყნად ვერსად იპოვით. მათ აინტერესებთ ყველაფერი: ვაზის მოვლის ყველაზე დახვეწილი მეთოდებიც და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებიც; საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემებიც, ლოთობის წინააღმდეგ და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლაც, თანამედროვე ლიტერატურის, თეატრისა და კინოს სიახლეებიც და მეცნიერების, ტექნიკისა თუ კოსმონავტიკის მიღწევებიც...

ჩვენ წესად დავიდეთ უნივერსიტეტის მეცადინეობაზე მოვიწვიოთ ხოლმე თვალსაჩინო მეცნიერები, წარმოების მოწინავენი და კულტურის მოღვაწეები.

ჩვენი მთავარი დღეობის, შოთაობის — შოთა რუსთაველის პოეზიის დღისათვის, რომელიც უკვე დიდი ხანია მეგობრობისა და შრომის ლამაზ და მასობრივ დღესასწაულად გადაიქცა, სპეციალურ კრებულს ვუშვებთ ხოლმე. ამ კრებულში უნივერსიტეტის მსმენელები აქვეყნებენ თავიანთ რეფერატებს „ვეფხისტყაოსნის" ავტორის შემოქმედებაზე. პირველად აქ გამოქვეყნდა აგრეთვე ისეთი გამოჩენილი მეცნიერებისა და მწერლების საპრობლემო მასალები, როგორნიც არიან აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე, გელა ბანძელაძე, რომლებიც შუქს ჰფენენ რუსთაველის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტს.

უნივერსიტეტის ფარგლებში ბევრი მასობრივი ღონისძიება ხორციელდება. მაგალითად, მაისში — „შინმოუსვლელთა დღე". დიდი სამამულო ომის დროს მტერთან ბრძოლაში მარტო ჩვენი პატარა სოფლიდან 300-ზე მეტი კაცი დაიღუპა. მათი ხსოვნის პატივსაცემად პარკი გაშენდა. ახლა „კაი ყმის" ძეგლს ვაგებთ. ჩვენი „შინმოუსვლელის დღის" მონაწილეები ყოფილან საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია თავის რუს ძმასთან მიხეილ ეგოროვთან ერთად, რომლებმაც გამარჯვების დროშა აღმართეს დამხობილ რაიხსტაგზე, სახელმოხვეჭილი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, განთქმული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჯაბიძე, მრავალი გენერალი და ადმირალი.

ჩვენი მსმენელები მარტო თავიანთი უნივერსიტეტისა და სოფლის მიჯნებით არ იფარგლებიან. ისინი სწავლობენ მოსკოვისა და ლენინგრადის კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, ეცნობიან კახეთის, თბილისის, მცხეთის, აფხაზეთისა თუ აჭარის ძველ ძეგლებს, ყოფილან ლადო გუდიაშვილის სახლ-სახელოსნოში. რეგულარულად ჩავდივართ თბილისში ფალიაშვილის სახელობის ოპერის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრების სპექტაკლების სანახავადაც. შარშან სტავროპოლის მხარის ქალაქ გეორგიევსკს ვეწვიეთ, სადაც 200 წლის წინათ რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის ხელშეკრულება დაიდო.

იყალთოს აკადემიის არქიტექტურული კომპლექსის ძველ ტაძარში გავხსენით ჩვენი ეთნოგრაფიული მუზეუმიც, სადაც თავმოყრილია ბევრი არქეოლოგიური ნაპოვნი, დოკუმენტი, საინტერესო მატერიალური კულტურისა და საყოფაცხოვრებო ნივთები. აქვეა წიგნთსაცავი, სადაც სხვადასხვა ენაზე „ვეფხისტყაოსნის" იშვიათი გამოცემების უმდიდრესი კრებული და რესპუბლიკის თვალსაჩინო მწერლების ავტოგრაფებიანი წიგნები ინახება. გვაქვს ჩვენი „ტრეტიაკოვკაც". მას საფუძვლად დაედო იმ ნამუშევართა კოლექცია, რომელიც რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა, ჩვენებურმა ელისო მაყაშვილმა გვაჩუქა. ჩვენი თანასოფლელის მაგალითს ბევრმა მისმა კოლეგამ მიბაძა.

სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა დაკავშირებულია სოფლისა და მისი კოლმეურნეობის სამეურნეო ცხოვრებასთან. აქაური მეურნეობის მთავარი დარგია მევენახეობა. ამიტომ ყოველი საპასუხისმგებლო სასოფლო-სამეურნეო კამპანია —ვენახების გაშენება, ვაზის გასხვლა, დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვეულებრივ, უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციით იწყება, რომელშიც ჩვენს მსმენელებთან ერთად სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან სპეციალურად მოწვეული მეცნიერებიც მონაწილეობენ.

იმ მიზნით, რომ მივიწყებული ქართული ხელოსნობის დარგები აღგვედგინა, სოფლის სკოლის ძველ შენობაში პროფტექნიკური სასწავლებელი გავხსენით.

ერთი სიტყვით, ახლა, ოცი წლის შემდეგ, ჩემი თანასოფლელების ცხოვრებაში, ალბათ, არ არსებობს ისეთი სფერო, რომელზეც გავლენას არ ახდენდეს უნივერსიტეტი. მისი წყალობით ჩემი თანასოფლელების კულტურული მოთხოვნილებანიც ძალზე გაიზარდა. ამ დღეებში ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთსაცავში შევედი. საკმაოდ გვიანი იყო და ამიტომ ძალზე გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ აქ იჯდა პაპა ნიკოს შვილი — გიორგი პაპალაშვილი, ძველი ხალხური სიმღერების შემსწავლელი სტუდიის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. „მინდა ძველი საგალობლების ნოტები გადავიწეროო, — არ დამიმალა შეკითხვა გიორგიმ. მას ხელთ ეპყრა ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", რომელშიც გამოქვეყნებული იყო სტატია X საუკუნის მუსიკალური ნოტების გაშიფვრის შესახებ. — დღისით ამისთვის არა მცალია".

მომაგონდა, რამდენიმე საათით ადრე ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მსმენელი, ლევანი, ვითომ ხუმრობით მეხვეწებოდა: „ბოგო, შეგვიბრალე, ცოტა მოუკელი შენს ღონისძიებებს, თორემ ყველას მინდა დავესწრო, და ამდენი არა მცალია".

რა თქმა უნდა, აზვიადებდა. ჩემს თანასოფლელებს მუშაობისთვისაც ჰყოფნით დრო და იმისთვისაც, რომ მეგობრულ წრეს შეხვდნენ ხოლმე, თავიანთ პრობლემებზე ესაუბრონ და ხალხური სიმღერებიც იმღერონ. მაგრამ, მართალი გითხრათ, გამახარა მისმა ნათქვამმა: ეტყობა, ცუდად არ ჩაუვლია ჩვენს მუშაობას.

ახლა ჩვენს იყალთოში აღარავის ახსოვს რელიგიური დღეობები. აღარც ის გვახსოვს, უკანასკნელად ვინ დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. აღარც მუქთახორები გვყავს. ის ჩვენი თანასოფლელები კი, რომლებიც ოდესღაც ქალაქში გადაიხვეწნენ, მშობლიურ იყალთოში ბრუნდებიან. ჩვენი ოდესღაც ჩამორჩენილი კოლმეურნეობა კი მოწინავე გახდა არა მარტო რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში.

დიახ, ბრძენი კაცი იყო ჩვენი პაპა ნიკო. იგი აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ მისი რჩევით შექმნილი შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი კვლავინდებურად ახალგაზრდა და სოფლელებისათვის საინტერესო ცენტრია.

გ. შათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

„პრავდა", 1985 წ. 26. IX.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჭითანავამ მიიღო ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნული კავშირის-პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ინფორმაციისა და პროპაგანდის დარგში ნათან შამუიარირა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ამხ. ნ. ა. ჭითანავა მიესალმა სტუმრებს და გააცნო მათ საქართველოს ისტორია და კულტურა, მისი დღევანდელი ცხოვრება, წარმატებები, რომლებსაც რესპუბლიკამ მიაღწია სოციალისტური მშენებლობის პროცესში ცხოვრების ყველა დარგში. იგი დაწვრილებით შეეხო მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის მიღწევებს, დაახასიათა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების სპეციფიკა, გაუზიარა მათ სოციალური პრობლემების გადაჭრის გამოცდილება. დაგეგმვის, მართვისა და მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებზე საუბრისას, ამხ. ნ. ა. ჭითანავამ ხაზი გაუსვა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უზრუნველყოფაში.

ნათან შამუიარირამ მადლობა გადაუხადა საინტერესო და შინაარსიანი საუბრისათვის, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია ზიმბაბვეს რესპუბლიკისათვის, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲓᲔᲡ

არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელიც მნიშვნელოვანწილად არ იყოს დამოკიდებული სათბობით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფაზე. გასულ ზამთარს ხშირი იყო მოცდენები სათბობის მიწოდებაში შეფერხების გამო. მომავალში ასეთი მოცდენები, ისევე როგორც სათბობ მეურნეობათა მუშაობაში შეფერხებანი, აღარ უნდა გვქონდეს, ხაზგასმით აღინიშნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათბობით, ელექტრული და სითბური ენერგიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის რესპუბლიკური კომისიის მორიგ სხდომაზე.

ზაფხულში სამეურნეო ხელმძღვანელებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ შეექმნათ სათბობის რესურსების საჭირო მარაგი საწარმოების, მშენებლობების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შეუფერხებელი მუშაობისათვის. მაგრამ სავსეა თუ არა მაზუთის რეზერვუარები, ჩატარდა თუ არა ენერგომოწყობილობის, თბომეურნეობის, გასათბობი აგრეგატების პროფილაქტიკური რემონტი? თურმე ამ დარგში ყველაფერი როდია გაკეთებული. კერძოდ, უნდა ვიჩქაროთ რესპუბლიკის მაღალი მთისა და მთის რაიონებში შეშის დამზადების დასამთავრებლად. უნდა დავაჩქაროთ რესპუბლიკაში პირველი გაზგასაწყობი სადგურის აგების ტემპი (შემკვეთი — გაერთიანება „საქტრანსგაზი", გენმოიჯარე — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო). ნავთობპროდუქტების გადასაზიდად უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ რკინიგზის მაგისტრალი.

კომისიის სხდომაზე გაანალიზეს, თუ როგორ ემზადებიან ზამთრისათვის თელავის, გურჯაანის, ყვარლის საწარმოები და მეურნეობები.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ — 85 ● ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ — 85

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ" ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა მიიღო რესპუბლიკაში ჩამოსული ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ დისკუსიაში საბჭოთა კოლეგებთან.

ამხ. ლაშქარაშვილმა სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ისტორია და კულტურა, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიკის, კულტურის, განათლების დარგში, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა, მისი მუდმივი კომისიების მუშაობა.

ამხ. ლაშქარაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკელი ჟურნალისტების ვიზიტი, საბჭოთა კოლეგებთან მათი დიალოგი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებას.

სტუმრების სახელით გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ჯეკ ბერბმა აღნიშნა, რომ ამერიკელებს დიდად აინტერესებთ ცხოვრება სსრ კავშირში, რომლის გაცნობაც სასარგებლო გამოდგა ამერიკელი ჟურნალისტებისთვისაც. მან ხაზი გაუსვა საბჭოთა ადამიანების გულწრფელ სწრაფვას მშვიდობისადმი, რაშიც სტუმრები დარწმუნდნენ ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ფოფხაძე.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ — ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქს რთული რელიეფი აქვს, რაც განაპირობებს სატრანსპორტო მარშრუტების რთულ სქემას. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრამვაის, ტროლეიბუსის, ავტობუსის ხაზების სიგრძე. ვითარდება მეტროპოლიტენი, რომლის სამი სადგურის — „ვარკეთილის", „ღრმაღელისა" და „თემქის" საექსპლოატაციოდ გადაცემას მშენებლები უკვე მიმდინარე წელს გვპირდებიან. ქალაქისა და მისი სატრანსპორტო სისტემის ზრდასთან ერთად იხვეწება საგზაო ქსელი, ინერგება მგზავრთა გადაყვანის ახალი, პროგრესული სახეობანი.

ბევრი რამ კეთდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალაქის ტრანსპორტის განვითარების, ახალი მაგისტრალების მშენებლობის ტემპს, მოსახლეობის მომსახურების ხარისხს დამაკმაყოფილებლად ვერ მივიჩნევთ. ასეთი დასკვნა გამოიტანეს თბილისის მეცხრამეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა, რომლებმაც თავიანთ მესამე სესიაზე განიხილეს ქალაქის 1970–1985 წლების კომპლექსური სატრანსპორტო სქემის რეალიზაციის საკითხი და ყველა სახეობის ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების ამოცანები.

მომხსენებელმა — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. მესხიშვილმა, ორატორებმა საგულდაგულოდ გააანალიზეს გაწეული მუშაობა, ძირითადი ყურადღება დაუთმეს ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ ქალაქის საგზაო ქსელი არ შეესაბამება განვითარებული სატრანსპორტო სისტემის მოთხოვნებს და ამან ცენტრალურ მაგისტრალებზე ინტენსიური მოძრაობის მკვეთრი გაძლიერება გამოიწვია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მიწისზედა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობაზე. ამავე დროს არის ფაქტები, როცა ხაზზე გამოდის ტექნიკურად გაუმართავი, გარეგნულად ულამაზო მოძრავი შემადგენლობა, მარშრუტებიდან დაუსაბუთებლად ხსნიან ელექტროტრანსპორტის საშუალებებს და ავტობუსებს. მგზავრთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოძრაობის გრაფიკების დარღვევა, მათი მომსახურების ხარისხი.

დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და გამოთქვეს კონკრეტული წინადადებანი ტრანსპორტზე ჯეროვანი წესრიგის უზრუნველყოფაში საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების როლის გაძლიერების შესახებ. აღინიშნა, რომ დეპუტატებმა კონტროლი უნდა დაუწესონ ახალი მაგისტრალებისა და საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის ტემპსა და ხარისხს, ქალაქის სატრანსპორტო არტერიების გეგმაზომიერ განვითარებას, ყოველი ღონე იხმარონ საგზაო-სატრანსპორტო დისციპლინის განსამტკიცებლად.

ამოცანა კონკრეტულად განისაზღვრა: მიაღწიონ ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას, რაც აისახა ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარების 1985–2000 წლების კომპლექსურ პროგრამაში, რომელიც დაამტკიცა სესიამ. დეპუტატებმა გამოიტანეს ერთსულოვანი დასკვნა, რომ მისი რეალიზაცია საქალაქო საბჭოს აღმასკომის უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს.

სესიამ განიხილა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში 1984 წლის სექტემბრიდან 1985 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, იმსჯელა საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების საქმიანობაზე, განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები.

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ—85

ᲛᲔᲡᲘᲛᲘᲜᲓᲕᲔᲔᲑᲘ ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ

ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔ სიმინდის მოსავლის აღება რესპუბლიკაში პირველებმა დაამთავრეს წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა. მოწეულია 1.717 ტონა სიმინდი, რაც გაცილებით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

წითელწყაროელებმა წარმატებას ამინდის რთულ პირობებში მიაღწიეს. აქ მთელი ზაფხულის მანძილზე არ უწვიმია. დაშრა პატარა მდინარეები. წყლის დონემ წყალსატევებში უკიდურესად დაიწია. რაიონში კი ტენის მოყვარული სიმინდი ურწყავ მიწებზეა დათესილი. სიმინდის ყანის 700 ჰექტარიდან ნათესები ას ჰექტარზე დაიღუპა. მაგრამ მიწათმოქმედებმა დანარჩენ ფართობებზე არა მარტო გადაარჩინეს მოსავალი, არამედ გეგმით გათვალისწინებულზე უფრო მეტი მოიწიეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 28,5 ცენტნერი—დაგეგმილზე 2,5 ცენტნერით მეტი. ზემო მაჩხაანისა და მირზაანის წამყვანმა მესიმინდეობის კოლმეურნეობებმა, სადაც სიმინდის მოყვანა-მოყვანა ინდუსტრიული მეთოდით წარმოებს, კიდევ უფრო მეტს მიაღწიეს — ჰექტარზე შესაბამისად 38,5 და 50 ცენტნერს.

— წარმატებას საფუძველი ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩაეყარეთ, —თქვა საქინფორმის კორესპონდენტებთან საუბარში წითელწყაროს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა. — მინდვრების მოსავლიანობა უზრუნველვყავით აგროტექნიკური ვადებისა და ხერხების დაცვის, ნათესების მოვლა-მოყვანის ყველა ეტაპზე სამუშაოთა მაღალი დონის, აგრეთვე მექანიზატორების ოსტატობისა და მოსავლის ბედისათვის მათი გაზრდილი პასუხისმგებლობის შედეგად.

უკეთეს პირობებში არც კახეთის სხვა რაიონები აღმოჩნდნენ. მაგრამ წითელწყაროელებისაგან განსხვავებით ბევრი მეურნეობა იღებს საგეგმოზე ნაკლებ მოსავალს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში ჰექტარზე მოიწიეს 22 ცენტნერზე ოდნავ მეტი მარცვლეული, ლაგოდეხელებს კი მრავალი წლის მანძილზე კახეთში სამარცვლე სიმინდის ყველაზე უხვი მოსავალი მოჰყავდათ.

როგორც რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ ს. ცოტაძემ თქვა, მარცვლეულის დანაკლისის ასანაზღაურებლად ლაგოდეხელები დიდ იმედებს ამყარებენ უხვმოსავლიანი ჯიშის სიმინდის სანაწვერალო ნათესებზე, რომლებსაც ახლა რაიონში დათმობილი აქვს 4200 ჰექტარი — შარშანდელზე გაცილებით მეტი.

სიმინდის მოსავლის აღება დაიწყეს ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებმა. დასავლეთში მიწათმოქმედებს სიძნელეებს უქმნის ხშირი კოკისპირული წვიმები.

„ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ"

ᲡᲡᲠ კავშირის ხალხთა ლიტერატურების ურთიერთგამდიდრებას (საქართველო-სომხეთის საზოგადოებრივ-ლიტერატურული თანამეგობრობის მაგალითით) მიეძღვნა II რესპუბლიკათაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც თბილისში გაიმართა 25-26 სექტემბერს. იგი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის წინ მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ. აბეღიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

კონფერენცია გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ო. თენეიშვილმა. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერთა და ლიტერატორთა ასეთ შეხვედრებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაუახლოვდეს ერთმანეთს ორი მოძმე ხალხი, რომელიც ოდითგან ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს, იბრძვის და იღწვის.

— ძველთაგანვე ჭირსა და ლხინში ქართველი და სომეხი ხალხები ერთად იყვნენ, უანგაროდ ეხმარებოდნენ ერთმანეთს, — თქვა შესავალ სიტყვაში მ. აბეღიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ჯრბაშიანმა, — საერთო ისტორიულმა ბედმა განაპირობა ორი მოძმე ხალხის საზოგადოებრივ-ლიტერატურული თანამეგობრობის განვითარებაც. საქართველოსა და სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ძალზე მდიდარია ლიტერატურული ურთიერთობის ფაქტებით, რომელსაც ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული. მოძმე ხალხების ძველი დამწერლობისა და ორი ლიტერატურის ისტორიის ორმხრივი თარგმნისადმი ადრე გაღვიძებული ინტერესის წყალობით შემონახულია ქართული და სომხური ლიტერატურების მრავალი ადრეული ნაწარმოების პირველადი ტექსტები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთის საუკეთესო წარმომადგენელთა თხზულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორი მოძმე ქვეყნის მეგობრობის კეთილშობილურ თემას, ახალი წახნაგები შესძინეს მას წინა საუკუნის ისეთმა მოღვაწეებმა, როგორნიც არიან ხ. აბოვიანი, გ. სუნდუკიანი, ო. თუმანიანი, ა. ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნარ-დოსი, ვ. ტერიანი და მრავალი სხვა.

ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობა მონოლითურ ერთიანობად გადაიქცა ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. ორი ხალხის ძმობის ერთ-ერთი ბოლო აქტი გახდა ამასწინანდელი საიუბილეო ზეიმი, რომელიც გაიმართა ვ. ტერიანის სამშობლოში, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძაში.

მუშავდება არმენოლოგიის პრობლემები საქართველოში, ქართველოლოგიისა — სომხეთში. მაგრამ, ალბათ ყველაზე ძვირფასია ორი, საუკუნოდ დანათესავებული ხალხის ყოველდღიური ურთიერთობა.

ორი რესპუბლიკის წამყვანმა მეცნიერებმა და ლიტერატორებმა მოისმინეს და განიხილეს ოცდაათზე მეტი მოხსენება. საკმარისია ჩამოვთვალოთ თუნდაც რამდენიმე, რომ შეგვექმნას შთაბეჭდილება კონფერენციის მუშაობის შესახებ. ეს არის, კერძოდ, „შოთა, „ვეფხისტყაოსანი" სომხურ ლიტერატურაში", „სომხური ლიტერატურა „ივერიის" ფურცლებზე", „საქართველო ო. თუმანიანის შემოქმედებაში", „სომხეთი ი. გრიშაშვილის ლირიკაში", „სომხეთი ი. ნონეშვილის შემოქმედებაში", „ყარა-დერვიში და თბილისური ფუტურიზმი", „გ. სუნდუკიანის „პეპოს" სცენოგრაფია ქართულ თეატრებში", „სომეხი და ქართველი ხალხების სულიერი ძმობის ასახვა ნ. დუმბაძის შემოქმედებაში", „განვითარებული სოციალიზმის პერიოდის საქართველო-სომხეთის ლიტერატურული ურთიერთობა (1970–1980 წლები)" და სხვა.

საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებისა და ლიტერატორების მესამე შეხვედრა გაისად შემოდგომაზე ერევანში გაიმართება.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ და კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები" — ასეთი იყო საჩხერეში გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თემა. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, მეცნიერებისა და პარტიული მუშაკების, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებმა საქმიანად და საგნობრივად იმსჯელეს საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების, რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრების გადაწყვეტილებების შესაბამისად კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევისათვის, დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საბჭოების როლის შესახებ.

(საქინფორმი).

მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის

მთავარი ამოცანაა ავამაღლოთ ადამიანთა საქმიანი აქტიურობა

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებასთან, მიმდინარე ხუთწლედის დამთავრებასა და მეთორმეტე ხუთწლედის დაწყებასთან დაკავშირებულ მის ამოცანებსა და თავისებურებებზე ესაუბრება საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგე დ. ა. კიკნაძე.

— რამდენიმე დღეში, — თქვა მან, — ჩვენი რესპუბლიკის თითქმის მილიონ-ნახევარი მშრომელი — კომუნისტები და უპარტიოები დაიწყებენ მეცადინეობას მარქსისტულ-ლენინური განათლების სკოლებში და სემინარებზე. მომავალ სასწავლო ...

პირველი მეცადინეობის თემის განხილვისას თითოეულ მსმენელს უნდა გავაცნოთ თანამედროვე ეტაპზე პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა უდიდესი მნიშვნელობა, გამოვავლინოთ მათი გადაწყვეტის საჭიროება. თითოეულ შრომითს კოლექტივს, თი...

...

...არეზას. ეს კი ნიშნავს, რომ მეცადინეობაზე საქმიანად, უაზრო კამათის გარეშე შევაჯამოთ გაწეული მუშაობის შედეგები, განვაზოგადოთ დადებითი გამოცდილება, მტკიცედ გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი, გამოვნახოთ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი და კონკრეტული გზები.

...გორც მთელ ქვეყანაში, 28 სექტემბერს გაიმართება. იგი გახდება ორი ხუთწლედის მიჯნაზე, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მზადებისა და მოწყობის პერიოდში დიდი და პასუხსაგები ამოცანის შესრულებისათვის პარტიის პოლიტიკური მებრძოლების მოწინავე რაზმის მზადყოფნის თავისებური დათვალიერება. (საქინფორმი).

„მწვანე აფთიაქი"

ბათუმის რაიონის ზემო ალ... [ს]ანის სამკურნალწამლო მცენარეთა სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო შესანიშნავი იუკის მოსავლის აღება. მეურნეობაში აპირებენ წელს დაამზადონ ათასობით ტონა ნედლეული, რომლისგანაც შეიძლება დაახლოებით 60 ტონა ტიგოგენიკის — ჰორმონალური პრეპარატების დასამზადებლად საჭირო ძვირფასი ნახევარპროდუქტის მიღება.

— საქართველო ოდითგანვე განთქმულია თავისი სამკურნალწამლო მცენარეებითა და ბალახებით, თქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ეთერ ქემერტელიძემ. რესპუბლიკაში დღესაც მოიპოვება ბევრი მცენარე, რომლებსაც დიდი სამკურნალწამლო ღირებულება აქვთ. სამკურნალწამლო მცენარეთა ქობულეთის საბჭოთა მეურნეობაში და ხობის რაიონის ზუბა ხორგას საბჭოთა მეურნეობაში ასობით ძვირფასი სამკურნალწამლო მცენარე მოჰყავთ. მათი უმრავლესობა, მაგალითად, ალოე, კალენდულა ტროპიკული მცენარეებია, რომლებმაც კარგად იხარეს საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში. ამ მცენარეებისაგან დამზადებული პრეპარატები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

ჩვენი ინსტიტუტის ამოცანაა გამოვავლინოთ და შევისწავლოთ სამკურნალო მცენარეები, ჩავაყენოთ ისინი მედიცინის სამსახურში. ინსტიტუტი ამუშავებს ახალ სახეობათა სამკურნალწამლო მცენარეებისა და ბალახების სამრეწველო მოვლა-მოყვანის აგრობიოლოგიურ რეკომენდაციებს. ამის მაგალითია შესანიშნავი იუკა, ან, მაგალითად, კუროსთავი. ამ სამკურნალო ბალახისაგან მიღებული ნედლეულის საფუძველზე შეიქმნა პრეპარატი „ტრიბუს პონიმი", რომელსაც იყენებენ ათეროსკლეროზის მკურნალობისათვის. მისი წარმოება უკვე დაიწყეს ჩიმკენტის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში და გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატებში".

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

27 სექტემბერი ● საქდესი იუწყება

უშიშროების საბჭოს საზეიმო სხდომა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საზეიმო სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომელიც მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 40 წლისთავის დღესასწაულს.

სხდომის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს სკკპ ...

...ბა უწინარეს ყოვლისა ერთ რამეში: უკეთესი მსოფლიო — ეს არის მსოფლიო, რომელშიც არ გეშინია ბირთვული კატასტროფისა, **ეს არის რაკეტულ-ბირთვული, ქიმიური, ყველა სხვა იარაღისაგან თავისუფალი მსოფლიო.**

სახელმწიფოთა არსენალებში უკვე იმდენი ომის წარმოების საშუალება დაგროვდა, რომ შე...

...ხის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი კომპლექსის გამო, — ბირთვული შეიარაღების გაყინვით დაწყებული და მისი სრული ლიკვიდაციით დამთავრებული. სსრ კავშირი ნებისმიერი სახეობის იარაღის შეზღუდვასა და შემცირებაში ისეთ ნაბიჯს. გადადგამს, როგორი ნაბიჯის გადადგმისთვისაც მზად არიან მისი პარტნიო...

...იგი იხილოს საყოველთაო მშვიდობის ნამდვილ ავტორიტეტულ ორგანიზაციად. მიგვაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟი მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო უკეთ მოემსახურება იგი ხალხთა ინტერესებს.

უკეთეს მსოფლიოს ვერ ავაშენებთ, თუ ორიენტირი იქნება მხოლოდ ერთი რომელიმე სახე...

...

...მიდგომა მოითხოვს არსებული დაძაბულობის დაძლევას, დაძაბულობის შენელების აღორძინებას, უკეთესი მსოფლიოს აშენებისათვის კონკრეტულ მეცადინეობას.

ნებისმიერ კონტინენტზე, ნებისმიერ ქვეყანაში რომ ვკითხოთ ადამიანებს, რას ნიშნავს მათთვის უკეთესი მსოფლიო, თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ეროვნული და კულტურული ტრადიციების განსხვავების მიუხედავად, მათი აზრი ერთნაირი იქნე...

...გამალებულ შეიარაღებას კოსმოსში გადაუნაცვლებია, თქვა მან.

საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ბირთვული აფეთქებანი. ვსარგებლობთ რა იმით, რომ ამ დარბაზში იმყოფებიან ბირთვულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ მათ, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მთელი სერიოზულობით აწონ-დაწონონ ეს ინიციატივა და მოგვბაძონ ჩვენ.

ჩვენი ქვეყანა სთავაზობს მათ მოვრიგდეთ ბირთვული საფრთ...

...შეზღუდვისაგან თავისუფალი მსოფლიო. მსოფლიო, სადაც ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მიღწეულია ერთა და ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობა, ნამდვილი დემოკრატია, გარანტირებულია სოციალური სიკეთის, კულტურული ღირებულებებისა და ცოდნის მწვერვალების ხელმისაწვდომობა.

საბჭოთა კავშირს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ დამაარსებელს — სურს ...

...თარება და გამოთქვეს დიდი შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მშვიდობას ემუქრება სხვადასხვა საშიშროებანი, მათ შორის ბირთვული საშიშროება. მასში ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭოს წევრებს მთლიანად აქვთ შეგნებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, რომელიც უშიშროების საბჭოს დააკისრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ. *

● უნგრეთი

გულითადობის, შეხედულებათა სრული ერთიანობის ვითარებაში

ბუდაპეშტი. 26 სექტემბერს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო „ნეფსაბადშაგი" და უნგრეთის სხვა გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან იმის შესახებ, რომ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და მოსკოვში მეგობრულ ხამუშაო ვიზიტად მყოფი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივნის ი. კადარის მეგობრული შეხვედრა. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ორი პარტიის ხელმძღვანელთა შეხვედრამ გულითადობის, ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობის ატმოსფეროში ჩაიარა.

ბეჭდავს რა შეხვედრის შესახებ ცნობის სრულ ტექსტს, „ნეფსაბადშაგი" აღნიშნავს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პა...

...ის ეკონომიკურ თათბირზე კოლექტიურად დასახული სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის მიჯნების მიღწევას.

როგორც „ნეფსავა" წერს, მოსკოვის მეგობრული შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების შეკავშირებისა და მოქმედების ერთიანობის, როგორც მშვიდობის დაცვისათვისაც, ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების მიზეზით შექმნილი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის წარმატებული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის შემდგომ განმტკიცებას.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, ხაზგასმულია უნგრეთის ცენტრალური ტელევიზიის ახალი ამბების ...

...

ობიექტივში სალვადორი

სალვადორელი პარტიზანები განაგრძობენ წარმატებულ საბრძოლო მოქმედებას დუარტეს პროამერიკული რეჟიმის ჯარების წინააღმდეგ. როგორც აჯანყებულთა რადიოსადგური „ვენსერემოსი" იუწყება, პატრიოტებმა აგვისტოში მოწინააღმდეგის 680-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოიყვანეს მწყობრიდან. აჯანყებულთა საზენიტო ცეცხლით დაზიანებულია 5 ამერიკული წარმოების ვერტმფრინავი.

სურათზე: ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლი.

კომინ-საქდესის ფოტო.

საერთაშორისო გაერთიანების ფართო მხარდაჭერა

ნიუ-იორკი. საერთაშორისო გაერთიანებამ ფართოდ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ საგარეო-პოლიტიკურ პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის რადიკალური გაჯანსაღება და საყოველთაო უშიშროების განმტკიცება.

ეს პროგრამა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიაზე ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოსვლა ახლანდელი სესიის დაუ...

...ჯებულად წარმოადგენს საქმის ვითარებას მსოფლიოში. საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციე...

საბჭოთა კავშირი ცხადყოფს პოლიტიკურ ნებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობა კვლავ მო...

...

...ნაწილეებს, „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოების პრეზიდენტის საბჭოს წევრმა რ. მარკიემ აღნიშნა, რომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ მოპოვებული გამარჯვებები, საბჭოთა ადამიანების გმირობა და მამაცობა ფრთებს ...

...რალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს საფრანგეთში. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრა არა მარტო ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და განიარაღების პრობლემათა გადაჭრასაც.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები

რომი. (საქდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, 20–21 სექტემბერს გაიმართა ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ვილნერმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც ჩამოაყალიბა თეზისები ისრაელის კომპარტიის მომავალი XX ყრილობისათვის, რომელიც დეკემბრის დამდეგს გაიმართება.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაგმო ტერორის პოლიტიკა, რომელსაც ისრაელის საოკუპაციო ჯარები ახორციელებენ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის პალესტინელი მოსახლეობის წინააღმდეგ. თვითნებობის ისეთი აქტები, როგორიცაა არაბების განდევნა მშობლიური მიწა-წყლიდან, მასობრივი დაპატიმრებანი, მთელი ქალაქების, სოფლებისა და პა...

...სობრივი უმუშევრობა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში სასტიკი კრიზისი მოჰყვა.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელის მთავრობა დათანხმდა ქვეყნის ტერიტორიაზე განალაგონ ამერიკის ძირგამომთხრელი რადიოსადგურის „ამერიკის ხმის" ფილიალი სსრ კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად.

პალესტინელი დედის ცრემლი...

აპ-საქდესის ტელეფოტო.

● საფრანგეთი

ომის ვეტერანთა შეხვედრა

პარიზი. „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოების პარიზის შტაბ-ბინაში გაიმართა საბჭოთა და ფრანგ ომის ვეტერანთა შეხვედრა. იგი მოეწყო ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ წელს მიმდინარე მრავალი ღონისძიების ფარგლებში.

...ასხამდა ყველას, ვინც იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა ორგანიზაციების თანამშრომლობა მშვიდობის განმტკიცებისათვის, გამალებული შეიარ...

პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრება

ნიუ-იორკი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ დაგმო ნატოს წევრი სახელმწიფოები იმისათვის, რომ დანაშაულებრივად უგულებელყოფენ პაკისტანის სამხედრო რეჟიმის ბირთვულ ამბიციებს. ამერიკის გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელისადმი" 26 სექტემბერს აქ გამოქვეყნებულ ინტერვიუში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს აკისრიათ პასუხისმგებლობა ბირთვული პროგრამისათვის, რომლის განხორციელებასაც აჩქარებს პაკისტანი. ბირთვული ტექნოლოგია, რომელსაც ისლამაბადი იყენებს, აღნიშნა ინდოეთის მთავრობის მეთაურმა, სწორედ დასავლეთის ქვეყნებიდან იგზავნება.

რ. განდიმ თქვა, თუ რა სიძნელეებია ინდოეთ-ამერიკის ურთიერთობაში. მაგალითად, განაცხადა მან, „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არსებითად ხელი შეუშალა ინდოეთისათვის თანამედროვე ტექნოლოგიის მიწოდებას". ინდოეთს სერიოზულ საფრთხეს უქმნის აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პოლიტიკაში პროტექციონისტული ტენდენციების გაძლიერება. ინდოეთი ისედაც სერიოზულად ზარალდება მისი საფეიქრო ნაწარმის იმპორტზე დასავლეთში შემოღებული შეზღუდვების გამო. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დამყარებას.

ბუნება — სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც".

ვაჟა-ფშაველა

ძვირფასო მკითხველო!

ადამიანი ხომ მართლაც ბუნების წიაღში იბადება, აქვე იზრდება, იფურჩქნება მისი ნიჭი, ძალა და ენერგია. ადამიანი უფასოდ და სამუდამო სარგებლობაში ღებულობს ყველაფერს, რაც სიცოცხლეს სჭირდება. ჯანსაღი ჰაერი, კამკამა წყალი, მარჩენალი მიწა, ირგვლივ ნაირფერი ყვავილები, ტყე-ველად ნადირი, ცაში ფრინველი, წყალში თევზი — ყველაფერი ეს ჩვენია, თვით დედამიწა ჩვენი საერთო საცხოვრისია. მაშასადამე, ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნება, დაცვა, შესწავლა, გონივრული გამოყენება, გაჯანსაღება და გამრავლება ჩვენი საყოველთაო ვალია.

ეკოლოგიური პრობლემა ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მოულოდნელად გამოჩნდა და გლობალურის ტიტულიც სწრაფად მოიპოვა.

იგი ყოვლისმომცველია. ეს რომ ირწმუნოთ, მსოფლიო სახელის მქონე სწავლულთა წიგნების სათაურების ერთი თვალის გადავლებაც კმარა. აი ეს წიგნები: სამსწლიანი ომი, ეკოლოგიურ უბედურებათა ქრონიკა, ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებანი, ბუნების წიაღში შეჭრა, ადამიანი ჩაგრავს ბუნებას, მკერდში დაჭრილი ბუნება, ბუნება ბრალდებას გვიყენებს, ვიდრე მოკვდებოდეს ბუნება, გადაფხეკილი მიწა, წყალი სიცოცხლეა, ჰაერი წმინდა უნდა იყოს, მშფოთვარე დედამიწა, ჭუჭყიანი სამოთხე, ცივილიზაციის ტროას ცხენი, ფუტუროლოგიის კრახი, სკალპირებული დედამიწა, დედამიწა ერთადერთია, მომავლისკენაც გავიხედოთ და მრავალი სხვა.

საოცარია, მოგანგაშე გულ-გონება ყველგან, ქვეყნიერების ყოველ კუთხე-კუნჭულში არის, მიუხედავად ცხოვრების წესისა, კანის ფერისა, სალაპარაკო ენისა, მშვიდობის დაცვას და ეკოლოგიურ პრობლემებს ერთნაირი სიმძაფრით აღიქვამს და განიხილავს დღეს ყველა, და კაცობრიობის მომავალს, ყოფნას თუ არყოფნას ყველანი ძირითადად ამ ორ გლობალურ პრობლემას უკავშირებენ.

ეკოლოგიური პრობლემა... არსებობს იგი ჩვენშიც, ჩვენ გარშემო, ყველგან და ყველაფერში. ამიტომ ადამიანი, თითოეული ჩვენგანი, რაც უნდა ეცადოს, მას ვერ დაემალება...

გარემოს კრიტიკული მდგომარეობა ეხო კაცთა აღვირახსნილი მოქმედების შედეგია: ძირითადი ბუნებრივი რესურსები (მიწა, წყალი, ჰაერი, წიაღისეული, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო) ზოგან ისე ძლიერ გაიფლანგა, ხოლო რაც გადარჩა ისე გაჭუჭყიანდა, რომ დღეს ბევრ ქვეყანაში ადამიანს, ცხოველს თუ მცენარეს სუნთქვაც კი უჭირს.

ამ ფაქტმა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს თვალი აუხილა, — ცხადია, დღეს არ უნდა განმეორდეს ის სავალალო შეცდომები, ადამიანისა და გარემოს წარსულ ურთიერთობაში რომ იყო. ეკოლოგიური კრიზისის მიზეზი თვით ადამიანშია საძიებელი და არა ბუნებაში.

დიახ, ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ ძლიერ შეცვალა ბიოსფერო, მაგალითად, ატმოსფერული ჰაერის ქიმიური შედგენილობა და თვისებები, დედამიწის სითბური რეჟიმი, რადიოაქტიური ფონი, მსოფლიოს ოკეანე და ა. შ.

დედამიწაზე აქტიურ ზემოქმედებას მოჰყვა ნიადაგის ეროზია და გამოფიტვა, წყალსატევების გაბინძურება, მტკნარი ანუ სასმელი წყლის, საჭირო ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების მარაგის კატასტროფული შემცირება, მავნე ნარჩენების გარემოში მოძალება, ბუნებრივი ლანდშაფტების გაღარიბება, თვით ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესება.

აკადემიკოს ნ. დუბინინის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ამ მიზეზებით მსოფლიოში ბავშვების 10, ზოგან 18 პროცენტი არანორმალური იბადება...

კაპიტალისტურ სამყაროში ეკოლოგიური კრიზისის თავიდან აცილება მრავალ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, აქ ხორციელდება ერთიანი, მიზანსწრაფული სახელმწიფო პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების დარგში: სპეციალური გრძელვადიანი ეკონომიკური, ბიოტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზატორული, სამართლებრივი, იდეოლოგიური და სხვა სახის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც გარემოს შენარჩუნებისა და გაჯანსაღების გარანტიას იძლევა.

რა თქმა უნდა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემათა დიდი ნაწილის გადაწყვეტა მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წყალობით, მეცნიერთა, სპეციალისტთა, ფართო საზოგადოების გაერთიანებული მეცადინეობით თუ მიიღწევა, მაგრამ, ამავე დროს, თითოეული ადამიანი მოვალეა ჩაუფიქრდეს ამ გლობალურ პრობლემას, თავისი შესაძლო წვლილი შეიტანოს მის გადაწყვეტაში.

მაგალითად, რამდენი ავტომანქანის მფლობელი ჩადის მდინარის პირას, რათა გარეცხოს თავისი მანქანა, წყალს გაატანოს ჭუჭყი...

რამდენი კოლმეურნე გლეხი საკოლმეურნეო თუ საკუთარ ნაკვეთში საჭიროზე მეტ შხამ-ქიმიკატებს ასხურებს მცენარეს...

რამდენი კაცი თუ ქალი ცდილობს, რაც უნდა დაუჯდეს იშოვოს, შინ მიიტანოს და ბავშვები გაახაროს საახალწლო ცოცხალი ნაძვისხით და იმას კი არ უფიქრდება, რომ ჩვენ 5-მილიონიანი რესპუბლიკა ვართ, რესპუბლიკაში მილიონ 200 ათასი ოჯახია და თუნდაც ყოველმა მესამე რომ ბუნებრივი ნაძვისხე დადგას, საქართველოს ბუნებას ერთბაშად 12 000 ძირი მცენარე დააკლდება, „ტყე გაშიშვლდება, ბრალია".

რამდენი ტურისტი, ექსკურსანტი, მოგზაური ბუნების წიაღში, მინდორში, გზის პირას, ტყეში, მდინარეში, ხევში... ტოვებს ბოთლს, ცელოფანის პარკს, გაზეთს, კონსერვის ქილას, ყრის ძველმანს, ტეხს ხის ტოტს.

თავისთავად ერთიც, მეორეც, მესამეც და მეათეც, გარემო ბუნებას ისე არ აზიანებს, არ ვნებს, როგორც სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო თუ სოფლის მეურნეობის არაგონივრულად მოწყობილი ობიექტები, მაგრამ ეს მცირედიც კი, მრავალთა მიერ ჩადენილი, საშიშია, რამეთუ მცირედისაგან შედგება დიდი.

პარტიის ეკოლოგიური პოლიტიკა, ახლახან გამართული სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალები და დადგენილება, საკავშირო თუ რესპუბლიკური ეკოლოგიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, აგრეთვე ბუნების მოამაგეთა ენერგიული და მრავალფეროვანი მოღვაწეობის პრაქტიკა ულევ მასალას გვაძლევს, რათა ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით და სახეებით წარმოვაჩინოთ ადამიანისა და გარემოს ურთიერთმოქმედების ყველა ასპექტი, ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილების გავრცელებას, ჭეშმარიტი ბუნებისდაცვითი შეხედულებების დამკვიდრებას.

გარემოს დაცვის აქტუალური პრობლემები სულ უფრო ფართოდ იჩენს თავს მუშებისა თუ კოლმეურნეების, ინტელიგენციის თუ მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველდღიურ საქმიანობაში. ბუნების დაცვის მოძრაობაში წარმატებით ებმებიან საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ფართო მასების ეკოლოგიური აღზრდა და განათლება შემდგომ სრულყოფას საჭიროებს. ბუნების დაცვის მმართველ ორგანოებსა თუ რედაქციებში ადგილებიდან მოდის ცნობები გარემოსადმი ცალკეული მოქალაქის უდიერი დამოკიდებულების, ზოგი სამეურნეო ხელმძღვანელისაგან ბუნების დაცვის ღონისძიებების მნიშვნელობის შეუფასებლობის თაობაზე.

გარემოს დაცვა საერთო-სახალხო საქმეა, ამიტომ ამოცანა ის არის, რაც შეიძლება მეტი ადამიანი საქმის ცოდნით ემსახურებოდეს მცენარეული საფარის გამდიდრებას, ცხოველთა სამყაროს გამრავლებას, მიწის გაჯანსაღებას, წყლის რესურსებისა და ატმოსფერული ჰაერის სიწმინდის შენარჩუნებას, ბუნების ძეგლთა მოვლას და წარმოჩენას, ბუნების ყველა კომპონენტის რაციონალურ გამოყენებას.

სასურველია განზოგადდეს ყოველი ძვირფასი და სასარგებლო ამ დარგში—უნარჩენო და მცირენარჩენიანი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება და დანერგვა, გარემოს მდგომარეობის მაკონტროლებელი პროგრესული საშუალებანი, სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მოწინავე გამოცდილება, ბუნების დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები, ბუნების ქომაგთა თავდადებული შრომა-საქმიანობა. ამასთანავე საჭიროა სააშკარაოზე გამოვიტანოთ ბუნების დაცვის დარგში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებანი, ვაჩვენოთ მათი გამოსწორების ეფექტიანი ხერხები და საშუალებანი, ჩავუნერგოთ ჩვენს მკითხველებს ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა მიმართ შეუწყნარებლობის გრძნობა.

ამჟამინდელი რთული ეკოლოგიური ვითარება მოითხოვს, რომ გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია, რადიო, ინფორმაციის ყველა საშუალება, როგორც იტყვიან, ჩაბმაზე იყოს შეუნებული, დაუცხრომლად იღვწოდეს გარემოს დაცვისათვის.

საბჭოთა პრესას ამ მხრივ დიდებული ტრადიცია მოეპოვება. დღესაც ჩვენ გვერდით ნაყოფიერად იღვწის ჟურნალისტ-ეკოლოგთა მთელი პლეადა — ი. ლაპტევი, რ. ფიოდოროვი (გაზეთი „პრავდა"), კ. სმირნოვი („იზვესტია"), ვ. პესკოვი („კომსომოლსკაია პრავდა"), მ. პოდგოროდნიკოვი, ზ. ბალაიანი („ლიტერატურნაია გაზეტა") და სხვები.

ასე რომ, ეკოლოგიური პუბლიცისტიკა აღმავალი გზით მიდის.

გაზეთი „კომუნისტი" სწორედ ამგვარი პუბლიცისტური განწყობით ამკვიდრებს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განათლების განყოფილებას, რომელსაც გაუძღვება ჟურნალისტი-ეკოლოგი გივანჯი მანია.

ნათქვამია, სარედაქციო ფოსტა საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრიაო. მართლაც, თქვენი, ფართო მასების თანადგომის გარეშე ყოველი წამოწყება განწირულია. ამიტომ მოგმართავთ ყველას, ვისაც მშობლიური გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება თავის სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნია, — მოგვაწოდეთ თქვენი დაკვირვებანი, შენიშვნები, შთაბეჭდილებანი თუ წინადადებანი.

გწამდეთ, ყოველი ჭეშმარიტი აზრი, ცნობა, წინადადება გაზეთის ფურცლებზე სათანადოდ აისახება და ამ საერთო-სახალხო საქმეში უთუოდ დაგვეხმარება.

კონსერვის ქილიანი პეიზაჟი

ცარიელი ღვინის ბოთლები, სიგარეტის ნამწვი, ბენზინის ლაქები — ასეთი სურათი იხილა ნაკრძალი რიწის ტბის რაიონში საქინფორმის კორესპონდენტმა ბზიფის ხიდიდან ტბისკენ მიმავალ გზაზე.

...გზატკეცილის ამ უბანზე 200 მსუბუქი ავტომანქანა იდგა. ზოგი უნიკალური ფიჭვისა და ბზის კორომების მდელოებზე დაეყენებინათ, ზოგიც წყლის პირას, სადაც მათ მანქანის პატრონები რეცხავდნენ. ბზიფის, იუფშარის, გეგის წყლები ბევრს ავტოსამრეცხაო ჰგონია, რომელიც ბუნებას გაუმადებია მოგზაურობის დროს სარგებლობისათვის. საწვავი ს ა და მანქანის ზეთის ლაქებით დაფარულა წყლის ზედაპირი.

...26-ე კილომეტრზე ფარი იუწყება, რომ სწორედ აქედან იწყება რიწის ნაკრძალი. ნიშანთან უკვე დაბანაკებულა სამი ათეული „ჟიგული". მგზავრები სოხუმის, ქუთაისის, მეზობელი რესპუბლიკების მცხოვრებნი არიან. კარვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი აქ ღამის გათევას აპირებენ. კოცონებთან უხის სურნელი ტრიალებს, ხოლო თავგამოდებული მეთევზეები გვიანობამდე სხედან ანკესით ტბასთან, თუმცა თევზის ჭერა აქ აკრძალულია. მეზობლად მოხერხებული საქმოსნების მოძრავი საფუტკრეებია. ისინი კანონს არ ეპუებიან და უფრო მეტად ჰაჰით ვაჭრობენ, ვიდრე თაფლით.

ბუნების წიაღში უიკენდის შემდეგ ლამაზი ფოტოსურათებითა და სარეკლამო პროსპექტებით კარგად ცნობილ პეიზაჟს იერს უცვლიან გასტრონომიული დეტალები— საჭმლის ნარჩენები, საზამთროს ქერქები, ძვლები. ამას თუ დავუმატებთ ბოთლების ნამსხვრევებსა და გაქცნილი ქაღალდის ნაგლეჯებს, სურათი „საუზმე ბალახზე" დამთავრებულად შეიძლება მივიჩნიოთ, ადგილიდან დაძრული „ავტოველურები", ჩვეულებრივ იღწყებენ წამალონ ნადიმის კვალი. და ამის მიმითითებელიც არავინ არის. ჩვენ, რა თქმა უნდა, არც გვიფიქრია ტბა იმ ადგილად გამოვაცხადოთ, სადაც ფეხი არ უნდა დაადგას კაცმა, მაგრამ მალე მართლაც აღარ იქნება ფეხის დასადგმელი ადგილი.

არსებობს ორგანიზებული ტურისტების ყოველდღიური შესვლის საკონტროლო ციფრები. აფხაზეთის ავტორიტის სამინისტროს კომბინატი „რიწა" ამ მხრივ იცავს დადგენილ წესრიგს. „ველურები" კი უმეტესწილად ირჩევიან. იქნებ ღირდეს რიწის ხეობაში შესვლის წინ ავტოტურისტებისათვის შემოიღონ საკონტროლო პუნქტი, სადაც იმორიგევებენ ბუნების დამცავი სამსახურების მუშაკები. სამახსოვრო, რომელსაც მისცემენ თითოეულ მგზავრს, გააცნობს მას ბუნებაში ქცევის წესებს.

ეკოლოგიურ მუშაობას და პროპაგანდას სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი უწინარეს ყოვლისა ამ ნაკრძალ ზონაში მოქმედმა სამსახურებმა. არის მისაბაძი მაგალითები. მაღალმთიანი კურორტის მუშაკებმა, მაგალითად, წინა გაზაფხულზე ტყეების გამეჩხერებულ უბნებზე 300 ხე დარგეს. ტბაში წყლის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის შემცირდა სასეირნო კატერების რაოდენობა. ურიგო არ იქნება, თუ კომბინატის შტატი შეივსება გამწვანების სპეციალისტებით — აგრონომ-დეკორატორით, მებაღეებით.

კურორტის კეთილმოწყობისათვის, კომბინატ „რიწის" დირექტორის ლ. აგრბას აზრით, საკმარისი სახსრებია გამოყოფილი წელს ამ მიზნებისათვის სულ [illegible]

ძეგლი: მოამაგენი, ცდომილნი

პროექტი და გარემო



1. ინწრას ნუღარ დავთმობთ!..

თანამედროვე ეკოლოგიურმა ვითარებამ პროექტს, უფრო სწორად მის ავტორ-შემდგენლებს უმნიშვნელოვანესი მისია დააკისრა— ნებისმიერ წამოწყებაში მკაცრად უნდა იყოს გათვალისწინებული ბუნების დაცვის მოთხოვნები.

მაგალითად, როცა მდინარეს ან მის შენაკადებს ერთი ხეობიდან მეორეში გადააგდებენ ხოლმე, ითვალისწინებენ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამან სატყეო მეურნეობას თუ საერთოდ ეკონომიკას, მოსახლეობის ჯანმრთელობას თუ წიაღისეულის დამუშავებას, კულტურისა თუ ბუნების ძეგლებს, თევზის გავრცელებას თუ ნაოსნობას და ა. შ.

ჩვენში, საბჭოეთში, სახელდობრ ჰიდროელექტროსადგურები ჯერ კიდევ გოელროს გეგმით ისე დაიგეგმა და აშენდა, რომ ბუნებადაცვითი მოთხოვნებიც გათვალისწინებული ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, გამონაკლისიც ყოფილა. აგერ, სამოციან წლებში თბილისის ჰიდროპროექტმა შექმნა დარიალჰესის პროექტი, რომელიც საბედნიეროდ არ განხორციელებულა, ვინაიდან მოთხოვნებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა.

უფრო ადრე, ოცდაათიან წლებში, მთელ საქართველოში გახმაურდა პროექტი, რომელიც აწყურთან მტკვრის კალაპოტის გადაკეტვას, დედამდინარის რიონის აუზში გადაგდებას და იქ „დნეპრჰესის ტოლი ელსადგურის" აგებას ითვალისწინებდა.

სპეციალურ ლიტერატურაში ეს პროექტი ენერგეტიკული რომანტიზმის სახელით იხსენიება. დიახ, ასე თუ ისე, ნებისმიერი პროექტი ერთი ან რამდენიმე ადამიანის გულ-გონებაში მრავალჯერ დაიბადება. ცხადია, ამ ადამიანებიდან ზოგი ბუნებით რომანტიკოსია, ზოგიც რეალისტი. ეს უკანასკნელნი შენიშვნებს, კრიტიკას შედარებით ადვილად იტანენ და ვიდრე არ არის გვიან, პროექტში დაშვებულ შეცდომებს ასწორებენ ან სულაც ახალ პროექტებს შემოგვთავაზებენ ხოლმე.

აგერ ზღაპრული ბაიკალი. მოხდა ისე, რომ დამპროექტებლებმა საუკუნის მაგისტრალის—ბაიკალ-ამურის რკინიგზის ლიანდაგების დაგება სწორედ ბაიკალის ტბის — ციმბირის მზეთუნახავის სიახლოვეს გადაწყვიტეს... ლამაზია, კარგია, იაფია, სწრაფია... ამტკიცებდნენ ისინი.

მაგრამ მეცნიერებმა გამოთქვეს შიში—საუკუნის მაგისტრალსა და უნიკალური ტბის სიახლოვე ამ უკანასკნელს ხეირს არ დააყრისო.

და ეს საკმარისი აღმოჩნდა — სწავლულთა აზრი ყველამ გულთან მიიტანა. ამჟამად ბამის ტრასის ეს ნაწილი ტბიდან შორს, მთებში გადის, მაგისტრალის სიგრძე ათობით კილომეტრით გაიზარდა. დამატებით მარტო ოთხი გვირაბის გაყვანა გახდა საჭირო, სამაგიეროდ ზღაპრულ მზეთუნახავს დღეს ამ მხრივ უბედურება არ ემუქრება.

ეკოლოგიურ სიტუაციას ანგარიშს უწევენ კაპიტალისტურ სამყაროშიც კი, სადაც ყველაფერი სარფიანობას ექვემდებარება.

დარიალჰესის, დნეპრჰესის ტოლი მტკვარ-რიონჰესის და ბაიკალის ამბების შემდეგ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ მზეთუნახავი ინწრა—უნიკალური მღვიმე და დიდებული ჩანჩქერი, კალმახმრავალი მდინარე და თვალწარმტაცი ხეობა, ერთი სიტყვით, ბუნების ძეგლი—მთავრობისაგან ორგზის დაცვის, შენარჩუნების, შესწავლისა და წარმოჩენის ობიექტად გამოცხადებული (იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 15 იანვრის და 1978 წლის 24 თებერვლის დადგენილებანი), ხოლო მრავალთაგან სამეცნიერო, მხატვრულ, პუბლიცისტურ ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში დაფასებული და ნაფერები, რომლის მოტაცება და გვირაბ-წყალსადენით ქალაქ ჯვარში წაყვანა ენგურჰესის — ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მესვეურების პროექტით უკვე დაიწყო...

„ყვირას მასივში (წალენჯიხის რ.), რომელიც ზღვის დონიდან 2035 მეტრს აღწევს, სადღეისოდ ცნობილია 5 მეტნაკლებად მნიშვნელოვანი კარსტული მღვიმე — სამი სუბჰორიზონტალური (დემიშფოქვა, ინწრა და ყვირა) და ორი კომბინირებული დღმავალი (ცოტნე დადიანისა და ალბოვის უფსკრულები). განსაკუთრებით საინტერესოა ცოტნე დადიანის უფსკრული, რომელიც იხსნება 1580 მეტრ სიმაღლეზე და აღწევს 70 მეტრ სიღრმეს. იგი იწყება 12 მეტრი სიღრმის შახტით, რომელშიც ჩაყუდებულია ხის კიბე (ადგილობრივი მწყემსები და ტყის მჭრელები მარაგდებიან სასმელი წყლით ამ ჭის ფსკერზე არსებული წყაროდან). უფსკრული უხვად არის მორთული ნაირ-ნაირი ფორმებით — სტალაგმიტებით, სტალაქტიტებით, პატარა სვეტებით, ზღაბრისებური კრისტალური ნაზარდებით. დემიშფოქვას აღმავალი მღვიმის ბოლოში სიფონური ტბაა, რომლის გამომდინარე ნაკადული მღვიმის შესასვლელამდე ვერ აღწევს. ინწრას მღვიმიდან გამოდის ამავე სახელწოდების მდინარე, რომელიც იქვე ჩანჩქერს ქმნის. ყვირას მთის მასივის სხვა კარსტული წარმონაქმნებიდან ტურიზმის ღირსეულ ობიექტს წარმოადგენს მოქანავე ლოდი ქუაქანცალია, რომელიც 11 ტონამდე იწონის და თითის მიბჯენით ტოკავს" (იხილეთ: ლევან მარუაშვილი, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 245 და სხვა).

მთავრობის დადგენილებაში ინწრას მღვიმე და ჩანჩქერი შემდეგნაირად ხასიათდება: „გვირაბი, რომელშიც მდ. ინწრას ერთ-ერთი ტოტი გაედინება, 14 მეტრი სიგრძისაა, შემდეგ [illegible]

აქვს მშრალი განშტოებები, ჯამური სიგრძე — 58 მეტრი, მღვიმეს ალამაზებს სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ჰელიქტიტები, გაედინება მოზრდილი ნაკადი (დებიტი 350-400 ლ/წმ.), რომლის ტემპერატურა ზაფხულში 6 გრადუსამდე აღწევს, იგი მღვიმიდან გამოსვლის შემდეგ ქმნის 26 მეტრი სიმაღლის ულამაზეს ჩანჩქერს".

ამავე დადგენილებაში ასე სხარტად არის დახასიათებული აგრეთვე ინწრას ხეობის სხვა ძეგლები — ალბოვის მღვიმე, ცოტნე დადიანის უფსკრული, სათოვლე ჭა და ქუაქანცალია.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ბუნების ძეგლთა განყოფილებაში ინახება ინწრას ძეგლთა პასპორტები და აკადემიური აღწერა-დახასიათებანი. ამ სამმართველოს გამგებლობაში სულ 55 ბუნების ძეგლია, და აქედან ხუთი, როგორც უკვე ითქვა, ინწრას ხეობაშია.

არაორგანული ბუნების ძეგლების მთელი ეს კომპლექსი ინწრის ხეობაში სულ რაღაც 5-7 კილომეტრის ფარგლებშია მოქცეული, თანაც რკინიგზისა და საავტომობილო გზიდან ისე ახლოს, რომ ერთ დღეში ყველას გაცნობა-დათვალიერება და შინ დაბრუნებაც შეიძლება.

რაც შეეხება ცოცხალ ბუნებას — ფლორასა და ფაუნას, ინწრის ხეობა ამ მხრივაც უნიკალურია. ჯერ ერთი, ცნობილმა რუსმა ბოტანიკოსმა ნიკოლოზ ალბოვმა (1866-1897) ცეცხლოვან მიწაზე გამგზავრების წინ საგულდაგულოდ მოიარა ეს ადგილები და ალპურ მცენარეთა მხოლოდ კირქვებისათვის დამახასიათებელი მრავალი სახეობა აღმოაჩინა. ნაშრომები რუსულ, ლათინურ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნა და კოლხური ფლორის ნიმუშები მსოფლიო მეცნიერებისათვის ხე-[illegible]

გასწიეს ქართველმა ბოტანიკოსებმა ელენე და მოსე სოხაძეებმა.

ამასთან ერთად, ეს უმცირესი ხეობა „საქართველოს სსრ წითელ წიგნში" შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა 33 სახეობის ადგილსაუფლოა. უფრო მეტიც, აქაურ ნადირ-ფრინველთა, ყვავილთა და ხემცენარეთა დაცვა-შენარჩუნების აუცილებლობა სსრ კავშირის და საერთაშორისო წითელი წიგნებით არის დადასტურებული.

და ყველაფერთან ერთად ინწრის ხეობა სწორუპოვარი ესთეტიკური ფენომენია.

აგერ ლურჯ ტობავარჩხილთან ვდგავართ, უდაბურ, ბზითა და ხავსით ნაქარგ ტყეში, მღვიმეკლდიდან გადმოქუხს ჩანჩქერი, მისი ნისლი და წვეთები სიცხეში გვაგრილებენ, გვახალისებენ, ირგვლივ ყვავილების საამო სურნელია, ჩიტების გალობა და ჟღურტულია. ცივ ჩქერში ვერცხლისფერი თევზები დაცურავენ, გვავიწყდება ყველაფერი ცუდი, უგემური, და განცდებით გახალისებულებს ჩანჩქერის დატოვება გვენანება...

მაგრამ არიან ცდომილი ადამიანები, რომელთა პროექტებმაც გუშინ კინჩხას ჩანჩქერი გააუქმეს, დღეს-ხვალ კი იგივეს უქადიან ინწრასაც.

ნუთუ სხვა წყარო, სხვა გამოსავალი არ არის?

არის!

გ. მანია.

სურათებზე: ინწრას ხეობის (ყვირას მასივის) ბუნების ძეგლები. ინწრას ჩანჩქერი; მოქანავე ლოდი — ქუაქანცალია; კინჩხას ნაჩანჩქერალი; ცოტნე დადიანის უფსკრულის „კარიბჭე". ავტორის ფოტოები.

კარიკატურისტის თვალით

ლ. მართაშვილის ნახატი.

[illegible]

ოქროს მედალი [illegible] ერევნიდან

გუშინ ერევანში დამთავრდა მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი. წარმატებით იასპარეზა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ალბერტ კაზანჯიანმა (54 კილოგრამამდე წონითი კატეგორია). ფინალში მისი მეტოქე იყო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვ. შულეპკო. მასთან გადამწყვეტ შეხვედრამდე კაზანჯიანმა ყველა ორთაბრძოლა მოიგო. თბილისელმა მოკრივემ ამჯერადაც იმარჯვა, დაამარცხა ძლიერი მეტოქე და ოქროს მედალს დაეუფლა.

სურათზე: ალბერტ კაზანჯიანი.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

შესაძლებლობებს რა გამოლევს

როცა კასპაროვმა მეცხრე პარტია ისევ მეფისწინა პაიკით დაიწყო, ეს, ცხადია, იმას ნიშნავდა, რომ პრეტენდენტი უკმაყოფილო შედეგებით, რომელსაც ლაზიერის გამბიტში აღწევს.

ამჯერადაც ესპანური პარტია გათამაშდა, რომელიც პირველად ამ მატჩის მეხუთე პარტიაში შეგვხვდა და საერთოდ, ყველაზე უკეთ არის შესწავლილი თანამედროვე დებიუტებს შორის.

კარპოვმა გამოიყენა სისტემა, რომელსაც XIX საუკუნის მიურულს იყენებდა მსოფლიო ჩემპიონობის მაშინდელი პრეტენდენტი ჩიგორინი და რომელიც სწორედ მისი სახელობისაა. შემდეგში ჩიგორინის ვარიანტი გათანამედროვდა და ახალი იდეებით გამდიდრდა სმისლოვმა. კარპოვმაც დაიცვა „ზღუდეები" სწორედ სმისლოვისებურად გამაგრა.

თუ ადრე ესპანურ პარტიაში თეთრები მეფის ფრთას უტევდნენ, შავები კი ლაზიერისას, ამჯერად ბრძოლა მთელ დაფაზე გაჩაღდა. კასპაროვი შეეცადა ხელთ ეგდო ინიციატივა, მაგრამ კარპოვი ფრთხილად თამაშობდა და დაიცვა ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი. გაიცვალა ოთხივე ეტლი, თუმცა, სიმძაფრე არ დამცხრალა.

ბოლო სვლებისათვის მეტოქეები დროის საგრძნობ ნაკლებობას განიცდიდნენ და ბრძოლაც სწორედ ამ მომენტში გამწვავდა. კასპაროვმა ერთგვარ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, რაც ფიგურების უფრო აქტიური განლაგებით გამოიხატა.

როცა ცაიტნოტი დამთავრდა, კარპოვმა ჩაიწერა თავისი მორიგი, 42-ე სვლა.

მეცხრე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0-0 9. h3 კb7 10. d4 ეe8 11. მbd2 კf8 12. a4 h6 13. კc2 მb8 14. კd3 c6 15. მf1 მbd7 16. მg3 ლc7 17. კd2 g6 18. ლc1 მეh7 19. b3 კg7 20. ლc2 მf8 21. კe3 მe6 22. ეad1 ეac8 23. კf1 კf8 24. ეd2 ლb8 25. ლb1 კa8 26. b4 კb7 27. ab ab 28. ეed1 ლc7 29. ეc1 კg7 30. ეcd1 ეcd8 31. de de 32. ე:d8 ე:d8 33. ე:d8 მ:d8 34. c4 bc 35. კ:c4 მe8 36. ლa2 მd6 37. კb3 მb5 38. h4 მd4 39. კ:d4 ed 40. h5 ლe7 41. ლd2 c5 42. ლc2. პარტია გადაიდო.

გ. გამრეკელი.

გუშინ გაიმართა ამ პარტიის დამთავრება. 58-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ახლა ანგარიშია 5:4 კარპოვის სასარგებლოდ. რეგლამენტით დღეს მეათე პარტია უნდა გაიმართოს.

გვიბრუნდება ზამთრის დრო

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონურ სიხშირეთა სახელმწიფო კომისია იუწყება, რომ 1985 წლის 29 სექტემბრიდან საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უქმდება ზაფხულის დრო.

ზამთრის დრო დაგვიბრუნდება 1985 წლის 29 სექტემბერს ღამის 3 საათზე, რისთვისაც საათის ისარი ერთი საათით უკან უნდა გადავწიოთ.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

28 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ანაბანა. 10.05 — კითხვის წრე. 10.50 — „მოცარტი". III სერია. 12.20 — საბჭოური სიმღერის კონცერტი. 13.00 — ოჯახი და სკოლა. 13.30 — „ცისარტყელა" (არგენტინა). 14.00 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 14.45 — სპორტული ტანვარჯიში. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ირაკლი ანდრონიკოვი". 16.55 — პროპაგანდისტის დღე. 17.25 — კონცერტი პროპაგანდისტის დღის გამო. 18.25 — ეკონომიკური მიმოხილვა. 19.00 — ცხოველთა სამყაროში. 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 20.05 — მულტფილმი. 20.15 — გადავდივართ ზამთრის დროზე. 20.30 — კინოპანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „რა? სად? როდის?". ტელევიქტორინა. დამთავრების შემდეგ — ჭადრაკი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს. 9.30 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.00 — „დილის ფოსტა". 9.30 — ჩვენი ბაღი. 11.00 — ნოვოსიბირსკის ტელესტუდიის პროგრამა. 11.55 — მოგზაურთა კლუბი. 12.55 — „სტადიონი ყველასათვის. 13.25 — „მსოფლიო კინოკამერაში". 14.35 — სატელევიზიო ბალეტი „გენრიკა". 15.25 — მხატვრული ტელეფილმი „ჯერ კიდევ ომამდე". I და II სერია. 17.35 — საერთაშორისო მიმოხილვა. 17.50 — მულტფილმები. 18.10 — „ჯანმრთელობა". 18.55 — „ზაფხულის მელოდიები". გადაცემა რუმინეთიდან. 19.30 — ფეხბურთი. „ჟალგირისი" — კიევის „დინამო". შესვენებისას — 20.15 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ფეხბურთი. „ზენიტი" — „დნეპრი". მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „შენ ვერავინ ვერ შეგცვლის".

თბილისი

28 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — მოამბე. 10.15 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იმერეთი". 10.45 — „ხადლეისო ინტერვიუ". 11.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.15 — დილის გასართობი პროგრამა. 11.15 — მეგობრების ეკრანი. აზერბაიჯანის ტელევიზიის პროგრამა. 13.35 — „ბუნების კარი". 14.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.20 და 16.05 — ნ. დუმბაძე „მარადისობის კანონი" (ლატვიის ტელევიზიის დადგმა). 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 17.25 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე — სატელევიზიო ჟურნალი. 18.10 — იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის. „პროპაგანდისტის დღე". 18.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.45 — ს. ნასიძე — კონცერტი ვიოლინოსა და ჩელოსათვის. 19.20 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი. 19.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 20.00 — მოამბე. 20.45 — კალათბურთი. თბილისის „დინამო" — ლენინგრადის „სპარტაკი". 21.30 — „მწერალი დაბრუნდა მივლინებიდან". — ს. დემურხანაშვილი. 21.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 21.55 — ახალგაზრდობისათვის „სტუდენტური რთველი-85". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

თეატრი

28 სექტემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ოტელო (მე-3 აბონ. I წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ისევ ამ ქვეყნად დავრჩები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — გამოქვაბული; მოზარდ მაყურებელთა ქართული — წითელქუდა (აბონ. № 2, დილით); თავისუფალი თემა (აბონ. № 45, საღამოს).

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი

ზალვა ვლადიმერის ძე შენგელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06316 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, [illegible]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14